პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 273 (9433) | ოთხშაბათი, 19 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

სოფლის მთელი ძალები — საშემოდგომო თესვის სწრაფად დამთავრებას — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
სოციალიზმის ქვეყანაში — ციფრები და ფაქტები (მე-2 გვერდი).
შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის გენიალური ნაწარმოები (მე-2 და მე-3 გვერდი).
უბადლო სახელმძღვანელო (მე-2 გვერდი).
დიდი ბელადის შრომა გვეხმარება მუშაობაში (მე-2 გვერდი).
კომუნიზმის გამარჯვების გზა (მე-2 გვერდი).
საკოლმეურნეო ცხოვრების შემდგომი აყვავებისაკენ (მე-3 გვერდი).
მეცნიერული შემოქმედების დაუშრეტელი წყარო (მე-3 გვერდი).
კაპიტალის ქვეყნებში — ციფრები და ფაქტები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სოფლის მთელი ძალები — საშემოდგომო თესვის სწრაფად დამთავრებას

მეხუთე სტალინურ ხუთწლედში სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე ახალი დიადი პერსპექტივებია დასახული. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება მთავარი ამოცანაა სოციალისტურ მიწათმოქმედებაში. მოცემულ ეტაპზე საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითადი ამოცანაა რესპუბლიკის უზრუნველყოფა უახლოეს წლებში საკუთარი წარმოების მარცვლეულით.

უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მტკიცე აგროტექნიკურ ვადებში შესრულებას. მომავალი წლის მოსავლის ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ორგანიზებულად იქნება ჩატარებული საშემოდგომო თესვა. აქედან გამომდინარეობს ამოცანა, რომ საშემოდგომო თესვის გეგმა აუცილებლად უნდა შეასრულოს თვითეულმა რაიონმა, თვითეულმა კოლმეურნეობამ. იმ რაიონებში, სადაც თავიდანვე ენერგიული ზომები მიიღეს, დავალება საშემოდგომო თესვის დარგში წარმატებით გაანაღდეს. მაგალითად, ბოგდანოვკის, ბორჯომის, წალკის, წითელწყაროს, ახალციხის, ქარელის რაიონებმა და სხვ. შეასრულეს საშემოდგომო თესვის სახელმწიფო გეგმა. მაგრამ იგივე არ ითქმის ყველა რაიონზე. ბევრი რაიონის კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ არ შეუსრულებიათ თესვის გეგმა. ამის გამო რესპუბლიკაში თესვის საქმე ჩამორჩა. 15 ნოემბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში დათესილი იყო 347.678 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმის 80,9 პროცენტი. თბილისის ოლქს გეგმა შესრულებული ჰქონდა 82,4 პროცენტით, ქუთაისის ოლქს — 73,4 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკას — 26 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკას—44,5 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს — 53,9 პროცენტით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გააფრთხილეს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები გადამწყვეტი ზომები მიეღოთ ჩამორჩენის გამოსასწორებლად. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ რაიონებში საშემოდგომო თესვის დასამთავრებლად მთლიანად ვერ გამოიყენეს არსებული შესაძლებლობანი, მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შრომითი რესურსები.

საშემოდგომო თესვაში მკვეთრად ჩამორჩა კაჭრეთის რაიონი, რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 54,1 პროცენტით. ახმეტის რაიონს გეგმა განაღდებული აქვს 57,6 პროცენტით. თეთრი წყაროს რაიონს ამავე რიცხვისათვის დაუთესავი ჰქონდა 8.000 ჰექტარი, ბოლნისის რაიონს — 5.300 ჰექტარი. თესვა ნელი ტემპით მიმდინარეობს თელავის, თიანეთის, კასპის, ყვარლისა და გარდაბნის რაიონებში.

მტს-ების მძლავრი ტექნიკის სრულად გამოყენებას მთელი რიგი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ. მაგალითად, კასპის რაიონში 5-დან 10 ნოემბრამდე მანქანით არც ერთი ჰექტარი არ დაუთესიათ. აქ თესვის გეგმის შესრულება 77,6 პროცენტს არ აღემატება. რაიონში არ ჩქარობენ თესვის სამუშაოთა მოთავებას. გარდაბნის რაიონმა 25 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე დათესა 566 ჰექტარი, 1-დან 5 ნოემბრამდე — 595 ჰექტარი, 5-დან 10 ნოემბრამდე 537 ჰექტარი, ხოლო 10-დან 15 ნოემბრამდე მხოლოდ 119 ჰექტარი. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ პარტიის გარდაბნის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი თესვას არაოპერატიულად ხელმძღვანელობენ.

საოლქო და რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ საშემოდგომო თესვის რაც შეიძლება სწრაფად დამთავრებისათვის, ყველა საშუალება გამოძებნონ თესვის სახელმწიფო გეგმის უთუოდ შესრულებისათვის. ამჟამად ყველა პირობა არსებობს თესვის დასაჩქარებლად. ეს პირობები მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული.

არსებული მასალები მოწმობენ, რომ თეთრი წყაროს, მცხეთის, საგარეჯოს, სიღნაღის, გარდაბნის, კაჭრეთის, ყვარლის, ახმეტის რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობები შეუწყნარებლად აჭიანურებენ მინერალური სასუქების შეტანას ნიადაგში თესვის წინ. ეს საფრთხეს უქმნის მომავალი წლის ხორბლის მოსავლიანობის გადიდებას. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უდარღლობის შედეგად თელავის რაიონში 500 ტონა ხორბლის თესლი არ არის აყვანილი სათეს კონდიციამდე, ახმეტის რაიონში კი—400 ტონა. თესლის მომზადება ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის ბევრ სხვა რაიონში. საჭიროა დავაწესოთ სასტიკი კონტროლი, რათა არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული უკონდიციო თესლით თესვა.

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც უფრო მეტს ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ გაამართლონ გეგმის შეუსრულებლობა, ვიდრე ამ გეგმის შესრულებაზე. სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ხელოვნება ის არის, რომ შეუპოვრად დავძლიოთ არახელსაყრელი კლიმატური პირობებით გამოწვეული სიძნელეები და უზრუნველვყოთ სიდავლების შესრულება.

მარცვლეული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დიდი პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგანან. დღეები წყვეტენ საბოლოო გამარჯვებას საშემოდგომო თესვის ფრონტზე. ეს უნდა გაითვალისწინოს სოფლის მეურნეობის თვითეულმა მუშაკმა. პარტია არ მოითმენს ამ საქმეში უინიციატივო, მოუქნელ მუშაკებს. პარტია არ მოითმენს საშემოდგომო თესვის გეგმის შეუსრულებლობას. საჭიროა მოვახდინოთ მთელი ძალების მობილიზება, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ მიმდინარე წლის საშემოდგომო თესვის გეგმა და ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგათ წინ დიდი სტალინის საბრძოლო დავალების შესასრულებლად — უახლოეს წლებში საქართველო უზრუნველვყოთ საკუთარი წარმოების მარცვლეულით.

საქართველოს კომპარტიის XV ყრილობაზე ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ თქვა: „საქართველოს კომუნისტებს არაერთხელ შეუსრულებიათ ამხანაგ სტალინის დავალებანი. შეუსრულებიათ ზუსტად, უყოყმანოდ, დადგენილ ვადებში, შეუსრულებიათ ღირსეულად. გაიხსენეთ, როგორ გადავჭერით ციტრუსების პრობლემა. გაიხსენეთ, როგორ გადაჭრა ჩაის პრობლემა. ახლა ჩვენს წინაშე დაყენებულია მარცვლეულის პრობლემა. იგი უნდა გადავჭრათ ისეთივე ბოლშევიკური სიმტკიცით, გაქანებითა და საქმიანობით, როგორც მაშინ ვწყვეტდით საქართველოსა და მთელი ჩვენი ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვან ამოცანებს, რომლებიც იდგა ჩვენი სუბტროპიკული მეურნეობის წინაშე.

რაიონული და საოლქო მუშაკები, უწინარეს ყოვლისა თბილისის ოლქისა და სამხრეთ ოსეთის მუშაკები, მოვალენი არიან შეიგნონ ამ საქმის მთელი მნიშვნელობა, მის სამსახურში ჩააყენონ მთელი თავიანთი ძალები, ცოდნა, უნარი და გამოცდილება“. ეს მითითება განუხრელად უნდა განვახორციელოთ, პურის მომყვანმა რაიონებმა სერიოზული გამოცდა ბრწყინვალედ უნდა ჩაბარონ. ამ გამოცდის ჩაბარება მიმდინარე წლის საშემოდგომო თესვის დავალებათა პირნათლად შესრულებით იწყება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ თესვაში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, სოფლის მთელი ძალები დარაზმონ საშემოდგომო თესვის გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის. ასეთია ამჟამად სოფლის პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

გეგმის შესრულება

ახალციხის რაიონმა 15 ნოემბრისათვის 100 პროცენტით შეასრულა საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა.

მიმდინარე წელს დათესილია 1.100 ჰექტარით მეტი, ვიდრე 1951 წელს. თესვა გრძელდება.

სიმინდის კარგი მოსავალი

ქობულეთი. (საკ. კორ.). ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში ყოველწლიურად ზრდიან სიმინდის მოსავალს. აგროწესების ზუსტად განხორციელების შედეგად სიმინდის საშუალო მოსავალი გასულ წელთან შედარებით ჰექტარზე 5 ცენტნერით გაიზარდა, თვითეულ შრომადღეზე ავანსად გაიცა 3 კილოგრამი სიმინდი.

კარგი მოსავალი მიიღო მ. ხახუტაიშვილის ბრიგადამ, რომელმაც ძოსავლელად მიჩენილი 28 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. კოლმეურნე მ. ანანიძემ საშუალოდ 1 ჰექტარზე მოიყვანა 70 ცენტნერი სიმინდი, ხ. ხაბაზმა — 52, ხ. ხოიძემ — 52, რ. მესხიძემ — 50,5 ცენტნერი.

საბჭოთა კავშირში

ნიკოლაევის ოლქი. სამხრეთ უკრაინაში გაიშალა ზემო ინგულეცის სარწყავი სისტემის მშენებლობის სამუშაოები. ჩქარი ტემპით შენდება 56 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური არხი. **სურათზე:** კლდოვანი გრუნტის ამოღება ზემო ინგულეცის არხის სატუმბავი სადგურის ხამშენებლო მოედანზე.

ფოტო ა. ფატეევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

დონბასისა და საქართველოს მეშახტეთა შეჯიბრება

ვოროშილოვგრადი, 15 ნოემბერი. (საკდესი). მეორე წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან „დონბასანტრაციტის“ კომბინატის № 63 შახტისა და საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივები. ისინი რეგულარულად უზიარებენ ერთმანეთს მუშაობის გამოცდილებას, ამოწმებენ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას.

დღეს დონბასის მაღაროელებმა წერილი გაუგზავნეს თავიანთ მეგობრებს საქართველოში. წერილში ლაპარაკია პარტიის XIX ყრილობის და დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე, ახალი ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრების გაჩაღებაზე.

დონეცელი მეშახტეები იუწყებიან, რომ მათ ყველა უბანზე დანერგეს ციკლური გრაფიკი და ახლა თვეში 29,5 ციკლს აკეთებენ ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 26,4 ციკლისა. შახტმა უკვე ათობით ეშელონი ანტრაციტი ამოიღო გეგმის გადამეტებით. 13,5 პროცენტით გადიდდა შრომის ნაყოფიერება. დაზოგილია ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი.

საწარმოს კოლექტივმა უკვე გადაჭარბა შახტის საპროექტო სიმძლავრე. დღეს მაღაროელებმა ახალი გამარჯვება მოიპოვეს: ვადამდე შესრულეს 41 თვის გეგმა.

მთელი საწარმოო ციკლით

ჩელიაბინსკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა თერთმეტი თვის პროგრამა მთელი საწარმოო ციკლით.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს მგლინავებმა. თერთმეტი თვის გეგმა მათ დაამთავრეს ვადაზე 20 დღით ადრე.

მებრძოლებმა შარშანდელთან შედარებით თუჯის წარმოება გაადიდეს 15,6 პროცენტით.

გროზნოს ოლქი. ტრესტ „ტაშკალანეფტის“ ნავთსარეწზე ამთავრებენ ინჟინერ მ. მ. ბუზინოვის კონსტრუქციის დახრილი ბაბურღავი კოშკურის გამოცდას. ეს კოშკურა შეუძლებელს ხდის ერთი წერტილიდან რამდენიმე ჭის ბურღვას. **სურათზე:** ახალი კონსტრუქციის ბაბურღავი კოშკურა.

ფოტო ვ. ხარკევიჩისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

★

დამნიშდა სელექციური ჯიშის ციგრესოვანთა ნაყოფი

სოჭი, 14 ნოემბერი. (საკდესი). სოჭის სუბტროპიკული და სამხრეთის ხილის საცდელ სადგურში დაიწყო სელექციური ჯიშის ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა. მანდარინი ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე დამწიფდა. ხშირ, თითქოს განგებ გაპრიალებულ ფოთლებში ლამაზად მოჩანს დიდრონი ოქროსფერი ნაყოფი. ეს ახალი სელექციური ჯიშების მანდარინია, რომლებიც სადგურის თანამშრომლებმა გამოიყვანეს. ეს ჯიშები ცნობილია იმით, რომ ადრე მწიფდებიან, მშვენიერი გემო და სურნელება აქვთ, ყინვაგამძლე არიან. წელს „სოჭის ქონდარას“ ჯიშის ერთ ხეზე 1.500-მდე ნაყოფი მოკრიფეს.

ახლა კრასნოდარის მხარის სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსებს რგავენ.

ავტომატური ტელეფონის სადგურები კოლმეურნეობებისათვის

ხარკოვი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ასობით საკოლმეურნეო ავტომატურ ტელეფონის სადგურს ამზადებს ხარკოვის ტელეფონ-კომუტატორის ქარხანა. მისი პროდუქცია მაღალი ხარისხით განირჩევა. პორტატიული, ჰერმეტულად დახურული ავტომატური ტელეფონის სადგური ისეთია, რომ მრავალ წელს შეუკეთებლად იმუშავებს.

ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია პროდუქციის გაიაფების საქმეში. რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვამ 370 საათით შეამცირა დროის ხარჯვა თვითეული ავტომატური ტელეფონის სადგურის დამზადებაზე. ყოველივე ამან შესაძლებლობა შექმნა თვითეული სადგურის თვითღირებულება შემცირდეს 33 პროცენტით შარშანდელთან შედარებით.

გუშინ ავტომატური ტელეფონის სადგურის მორიგი პარტია გაეგზავნა ესტონეთის სსრ რესპუბლიკის სოფლის რაიონებს.

ჩინური ფილმები საბჭოთა კავშირის ეკრანებზე

საბჭოთა მაყურებლებში დიდი წარმატება აქვს ჩინურ ფილმებს, რომლებსაც ამჟამად ჩვენი ქვეყნის ბევრ ეკრანზე უჩვენებენ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმდინარეობს.

მაყურებლები ნახულობენ ჩინეთის ახალგაზრდა კინემატოგრაფიის გამოჩენილი ოსტატების ისეთ ნაწარმოებებს, როგორიც არის ფილმები „ფოლადის ჯარისკაცი“, „ნაპერწკლები“, „უხილავი ფრონტი“, „ჭაღარა ქალიშვილი“ და სხვ. ამ ფილმებში ასახულია რევოლუციური ჩინელი ხალხის ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გმირული გზა.

ბევრი სეანსის დროს იკითხება ლექციები ახალ ჩინეთში კულტურისა და ხელოვნების აყვავების შესახებ. (საკდესი).

ქალაქებისა და დაბების დაპროექტება თურქმენეთის მთავარი არხის ზონაში

ტაშკენტი, 17 ნოემბერი. (საკდესი). აქ დამთავრდა უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს და უზბეკეთის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის მიერ მოწვეული თათბირი თურქმენეთის მთავარი არხის ზონაში დასახლებული პუნქტების დაპროექტების საკითხებზე. თათბირში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ტაშკენტისა და თურქმენეთის საპროექტო, სამშენებლო და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის მიერ დიადი მშენებლობის რაიონში ქალაქებისა და დაბების დაპროექტებისათვის შემუშავებული ძირითადი დებულებანი. თათბირის მონაწილეებმა შეიტანეს წინადადებანი ახალ სარწყავ მიწებზე ქალაქებისა და სოფლების დაპროექტების სამუშაოთა შემდგომი გაუმჯობესების, თურქმენეთის მთავარი არხის მშენებელთათვის საუკეთესო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის შესახებ.

თათბირზე გამოფენილი იყო არხის მშენებელთათვის ცალკეული ტიპის სახლების პროექტები, აგრეთვე სოციალისტური ქალაქების ტახია-ტაშის, კაზანჯიკისა და ხოჯეილის დაგეგმვის პროექტები.

მაგნიტოგორსკელ მებრძოლთა შრომითი გამარჯვება

მაგნიტოგორსკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ კომბინატში ჩაღდება შეჯიბრება ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. გუშინ საწარმოს ვადამდე შეასრულა თუჯის გამოდნობის თერთმეტი თვის გეგმა.

მებრძოლებმა აუმჯობესებენ აგრეგატების გამოყენებას. ახლა ისინი ადნობენ 4 პროცენტით მეტ თუჯს, ვიდრე წლის დასაწყისში.

მშვიდობისა და მეგობრობის წერილი საბჭოთა ხალხისადმი

უჟგოროდი, 17 ნოემბერი. (საკდესი). წითელი ტილოებით, საბჭოთა კავშირის, უკრაინის სსრ და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულია სასაზღვრო თაღები, რომლებზეც არის ამხანაგ ი. ბ. სტალინისა და კლემენტ გოტვალდის პორტრეტები. თაღებზეა აგრეთვე ლოზუნგები: „მარადჟამს საბჭოთა კავშირთან ერთად“, „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს — ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს“.

დღეს აქ მოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია, რომელმაც მოიტანა ესტაფეტი „მშვიდობისა და მეგობრობის წერილი საბჭოთა ხალხისადმი“, მოწყობილი ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის აღსანიშნავად. ესტაფეტი ხელიდან ხელში გადასცა მილონობით ადამიანმა.

ზეიმით შეხვდნენ მოძმე ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს სლოვაკიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ფრანტიშეკ კუბაჩი. დელეგაციის შეხვედრისას შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ჰიმნები.

ესტაფეტი, რომელიც შეიცავს მხურვალე მისალმებას დიდი სტალინისა და საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი, საზღვარზე მოიტანეს რეკორდსმენებმა — 1952 წლის საერთაშორისო ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებულმა ემილ ზატოპეკმა და იან ზახარამ. ესტაფეტი გადაეცა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს ს. ა. კოვპაკს.

ჩეხოსლოვაკიის ხალხის წერილში საბჭოთა ხალხისადმი ნათქვამია:

„არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩვენი ძმური კავშირის შერყევა. არ არსებობს ისეთი ძალა, რომ ჩვენ ხელი შეგვიშალოს ვიაროთ თქვენი გზით. თქვენთან ერთად, დიდ სტალინთან ერთად, ჩვენი მშობლიური პარტიის გარშემო დარაზმულნი. დიდი სტალინის მოწაფის ძეირფას ამხანაგ გოტვალდის ხელმძღვანელობით ჩვენ ვიბრძვით მშვიდობისათვის, მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის“.

მოძმე ხალხების საზღვარზე შეხვედრა გამოხატავდა ჩეხოსლოვაკიის ხალხის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის შესახვედრად ამხ. ს. ა. კოვპაკთან ერთად საზღვარზე ჩამოვიდნენ უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ვ. პალადინი, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ს. ა. კოვპაკმა სადილი გამართა სტუმრების პატივსაცემად. სტუმრებისათვის ქალაქის თეატრში მოეწყო დიდი კონცერტი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ცვლილებანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა სტრუქტურაში და ადმინისტრაციულ დაყოფაში

პეკინი, 17 ნოემბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა სინხუას საინფორმაციო ცნობა ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს მე-19 სხდომის შესახებ. ამ სხდომაზე გადაწყდა ყველა დიდ ადმინისტრაციულ რაიონში სამხედრო-ადმინისტრაციული კომიტეტების ნაცვლად შეიქმნას ადმინისტრაციული კომიტეტები და ამ კომიტეტებთან დეპარტამენტების ნაცვლად მოეწყოს სამმართველოები და განყოფილებანი. გარდა ამისა, გადაწყდა ცენტრალურ სახალხო მთავრობასთან შეიქმნას სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი, უმაღლესი განათლების სამინისტრო და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის კომიტეტი. მიღებულ იქნა ოგრეთვე გადაწყვეტილება პინის, იუანისა და ჩაზარის პროვინციების ლიკვიდაციის, ძიანსუს პროვინციის სამხრეთ ძიანსუდ და ჩრდილოეთ ძიანსუდ გაყოფის შესახებ, აგრეთვე ხებეისა და შანდუნის პროვინციებში ადმინისტრაციული დაყოფის შეცვლის შესახებ.

რუმინეთის მინისტრთა საბჭოს და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი რუმინეთის ქალაქების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის შესახებ

ბუქარესტი, 14 ნოემბერი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანეს დადგენილებანი ქალაქების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის, ბუქარესტას სოციალისტური რეკონსტრუქციის გენერალური გეგმისა და ბუქარესტში მეტროპოლიტენის მშენებლობის შესახებ.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ რუმინეთის ქალაქებმა და დაბებმა შეინარჩუნეს ძველი ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმის კვალი. ქალაქებში მკვეთრი კონტრასტი არსებობდა ბურჟუაზიულ უბნებსა და მშრომელთა უბნებს შორის, სადაც არ იყო კანალიზაცია, განათება და სუფთაობა სიღატაკე.

დადგენილებაში აღნიშნულია ოგრეთვე რუმინეთის ქალაქების ნგრევა, რაც შედეგად მოჰყვა ომს, შედეგად მოჰყვა ჰიტლერიზ-ინგლისისა და ჰიტლერული ავიაციის მიერ ბომბარდირებულ დაბომბვას.

ეყრდნობიან რა საბჭოთა არქიტექტურის გამოცდილებას და ხელმძღვანელობენ რა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებით და ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის შესახებ გენიალური სტალინური შრომებით, რუმინეთის მინისტრთა საბჭომ და მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დადგინეს შექმნან მინისტრთა საბჭოსთან არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის ფუნქციაშიც შედის რუმინეთის ქალაქთა მშენებლობისა და სხვა მშენებლობათა სისტემატიზაცია და ხელმძღვანელობა. გადაწყვეტილია შეიქმნას ოგრეთვე ქალაქების, საზოგადოებრივი შენობებისა და საცხოვრებელი სახლების დაპროექტების ინსტიტუტი მეცნიერებათა აკადემიასთან, არქიტექტურის სამეცნიერო ინსტიტუტი, არქიტექტორთა კავშირი და არქიტექტორთა სახლი.

პოლონეთის სოფლის ელექტროფიკაცია

ვარშავა, 16 ნოემბერი. (საკდესი). პოლონეთის პრესის საგენტო აუწყება, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ინტენსიურად მიმდინარეობს სოფლის ელექტროფიკაცია. ამას მოწმობს შემდეგი ცნობები: ბურჟუაზიულ პოლონეთში 1939 წელს იყო 1.263 ელექტროფიცირებული სოფელი. 1952 წლის 31 ივლისისათვის მათი რიცხვი 13.600-მდე გადიდდა, ესე იგი ერთიანად და უფრო მეტად. ექვსწლიანი გეგმის დამთავრებისათვის პოლონეთის ყველა სოფლის 50 პროცენტი ელექტროფიცირებულ იქნება.

მშრომელმა გლეხებმა პირველად მიიღეს შესაძლებლობა ელექტროენერგიით ამუშაონ სასოფლო-სამეურნეო მანქანები. მოტორების რიცხვმა, რომლებსაც იყენებენ ერთპიროვნულ მეურნეობებში ლეწვის დროს, 35 ათასს მიაღწია. ელექტროენერგიით მომარაგებული არიან და სარგებლობენ სამიწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივები. განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფო სოფლის მეურნეობათა ელექტროფიკაცია. აქ სულ უფრო ფართოდ იყენებენ ელექტროენერგიას შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში. მაგალითად, 1949 წელთან შედარებით საწველი აგრეგატების რაოდენობა ერთიხუთად და უფრო მეტად გადიდდა.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ალბანეთში

ტირანა, 16 ნოემბერი. (საკდესი). ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში გაძლიერებული ბრძოლა წარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ. თუ განთავისუფლებამდე ალბანეთში 670 ათასი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, 1951-52 სასწავლო წლის დამლევისათვის მათი რაოდენობა თითქმის ხუთნახევარჯერ შემცირდა. ხუთწლედის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინარობა მთლიანად ლიკვიდირებულ იქნება.

კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ი ს

> სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნები შეიძლებოდა დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოგვეყალიბებინა: მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით.
>
> Ი. სტალინი

სოციალიზმის ქვეყანაში

ციფრები და ფაქტები

განუბრელი აღმავლობის გზით ვითარდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა. ამის შედეგად დღითი დღე უმჯობესდება სსრ კავშირის ხალხთა მატერიალური და კულტურული ცხოვრება, იგი უფროდაუფრო საამური ხდება. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის აღმავლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენს სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის განუწყვეტელი ზრდა. 1940 წლიდან 1951 წლამდე სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 83 პროცენტით გაიზარდა. ჩვენს ქვეყანაში ნაციონალური შემოსავლის სამი მეოთხედი ხმარდება ადამიანების პირად მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, დანარჩენი ნაწილი კი—სოციალისტური წარმოების გაფართოებას და სხვა საზოგადოებრივ და საერთო სახელმწიფოებრივ საჭიროებებს.

• • •

სწრაფი ტემპით ვითარდება საბჭოთა მრეწველობა. 1929 წლიდან 1951 წლამდე სამრეწველო წარმოების მოცულობა თითქმის 13-ჯერ გაიზარდა. 1951 წელს სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობამ ერთიორად და მეტად გადააჭარბა ომამდელ 1940 წლის დონეს, ხოლო 1952 წელს დაახლოებით 2,3-ჯერ მეტი პროდუქცია იქნება მიღებული მრეწველობის ხაზით, ვიდრე 1940 წელს.

სსრ კავშირის მრეწველობამ ტემპების, ტექნიკური შეიარაღების მხრივ, ხოლო სსრ კავშირის ხალხებმა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო დონის მხრივ დიდი ხანია გაუსწრეს კაპიტალისტურ ქვეყნებს. საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს მთავარი კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ეკონომიკურად გასწრების უმნიშვნელოვანეს ამოცანას. ახლა მარტო საბჭოთა უკრაინა უფრო მეტ თუჯს ადნობს, ვიდრე საფრანგეთი და იტალია ერთად. მნიშვნელოვნად გაზარდა მოსახლეობის ერთ სულზე სამრეწველო პროდუქციის წარმოება. 1951 წელს 1940 წელთან შედარებით მოსახლეობის ერთ სულზე თუჯის გამოდნობა 50 პროცენტით სჭარბობდა, ფოლადისა—70 პროცენტით, ქვანახშირის ამოღება 60 პროცენტით, ბამბის ქსოვილის წარმოება — 20 პროცენტით, შალის ქსოვილისა—60 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება ერთიორად და მეტად გაიზარდა. წინათ ჩამორჩენილ უზბეკეთში ახლა ყოველ ათას ჰექტარზე 14 ტრაქტორი მოდის, მაშინ როცა ამდენივე ფართობზე საფრანგეთში მოდის 7 ტრაქტორი, იტალიაში კი — 4.

• • •

მნიშვნელოვნად გაფართოვდა და განმტკიცდა მრეწველობის საწარმოო ტექნიკური ბაზა. მარტო 1946-1951 წლებში 500 მილიარდი მანეთი კაპიტალდაბანდებიდან მრეწველობას მოხმარდა 320 მილიარდ მანეთზე მეტი. ამავე პერიოდში აიგო და ამუშავდა დაახლოებით 7 ათასი დიდი ხახელმწიფო სამრეწველო საწარმო. 1952 წლისათვის მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები 1940 წელთან შედარებით გაიზარდა 77 პროცენტით. ომისშემდგომ წლებში ჩარხების პარკი 2,2-ჯერ გადიდდა. მარტო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენმა მანქანათმშენებლობამ 1.600-მდე ახალი ტიპის მანქანები და მექანიზმები შექმნა. მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მიღწევების საფუძველზე, უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე ხორციელდება წარმოების განუწყვეტლივ გაუმჯობესება. განუხრელად ვითარდება საზოგადოების საწარმოო ძალები, ჩვენი სოციალისტური წარმოებისათვის უცხოა კრიზისები და რაიმე სერიოზული შეფერხება.

• • •

სულ უფრო და უფრო ვითარდება ჩვენი სოფლის მეურნეობა. იგი ემყარება მოწინავე მიჩურინულ მეცნიერებას. ფართოდ ხორციელდება აგრონომიული, ვეტერინარულ-ზოოტექნიკური ღონისძიებანი, სოფლის მეურნეობის ყველა დარგი აღჭურვილია თანამედროვე მანქანებით და სახოფლო-სამეურნეო იარაღებით. მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სატრაქტორო პარკის სიმძლავრე ომამდელ დონესთან შედარებით 59 პროცენტით გადიდდა, კომბაინებისა — 51 პროცენტით. ამავე პერიოდში შექმნილია 1.546 მანქანა-ტრაქტორთა, ტყესაცავი, მდელოსამელიორაციო და მეცხოველეობის ახალი სამანქანო სადგურები. ამავე დარგების სამანქანო სადგურების საერთო რაოდენობა ამჟამად 8.939 ერთეულს შეადგენს. მეზუთე ხუთწლედში სატრაქტორო პარკის სიმძლავრე დაახლოებით 50 პროცენტით გაიზრდება, ხვნის მექანიზაცია 90-95 პროცენტით, მარცვლეულის მოსავლიანობა გაიზრდება 40-80 პროცენტით.

• • •

საბჭოთა ხალხი ეწევა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, წარმატებით ახორციელებს ბუნების გარდაქმნის სტალინურ პროგრამას. გვალვიან ველებში უკვე წამოიზარდნენ მინდორსაცავი ტყეების მწვანე ზოლები, მწყობრში ჩადგა კომუნიზმის დიად მშენებლობათა პირმშო ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის არხი. ვოლგაზე, დონზე, დნეპრსა და ამუ-დარიაზე გრანდიოზული ჰიდროელექტროსადგურებისა და სარწყავი სისტემების მშენებლობებთან დაკავშირებით დიდი პერსპექტივებია გადაშლილი სოფლის მეურნეობის წინაშე. მოირწყვება 6 მილიონი ჰექტარი ახალი მიწა, წყალით უზრუნველყოფილი იქნება 22 მილიონი ჰექტარი საძოვრები, განხორციელდება სახოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტროფიკაცია (ელექტრობვნა, ელექტროკომბაინები, ელექტოძრავიანი სახოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვ).

• • •

საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ახორციელებს მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდების პოლიტიკას. ომისშემდგომ პერიოდში სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ხუთგზის შემცირების შედეგად ამ საქონლის ფასები ამჟამად საშუალოდ ორჯერ უფრო დაბალია, ვიდრე 1947 წლის მეოთხე კვარტალში იყო. საბჭოთა სახელმწიფო მნიშვნელოვან თანხებს ახმარს სოციალურ დაზღვევას, მუშა-მოსამსახურეებს შვებულებას აძლევს ხელფასის შენარჩუნებით, ზრუნავს ხალხის ჯანმრთელობის დაცვისა და განათლებისათვის, ხაბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. ომისშემდგომ პერიოდში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აგებულია საცხოვრებელი სახლები 155 მილიონი კვადრატული მეტრის საერთო ფართობით, სოფლებში აშენებულია 3,8 მილიონზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

• • •

განათლების ხარჯები 1940 წელს 22,5 მილიარდი მანეთიდან 1951 წელს გაიზარდა 57,3 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. 2,5-ჯერ და უფრო მეტად. ომისშემდგომ წლებში აგებულია 23.500 სკოლა, ამჟამად მოსწავლეთა რიცხვი ჩვენს ქვეყანაში შეადგენს 57 მილიონს, ეს თითქმის 8 მილიონით მეტია ვიდრე ჩვენში 1940 წელს იყო. სპეციალისტთა რიცხვი 2,2--ჯერ გაიზარდა ომამდელთან შედარებით, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების რაოდენობა 2.900-მდე გაიზარდა 1952 წლისათვის.

★

სწავლობენ ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომას

თბილისის პარტიული და საბჭოთა კადრები, დედაქალაქის მშრომელები უდიდესი ინტერესით სწავლობენ ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკასთან არსებულ პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელთა სემინარზე ოთხი მეცადინეობა მიეძღვნა ბელადის გენიალურ შრომას. პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი პრობლემები განხილულ იქნა ამხანაგ სტალინის ნაწარმოების „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მიხედვით.

ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალები. ბიბლიოთეკასთან არსებულმა პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიისა და პარტიის ისტორიის შემსწავლელმა სექციებმა შეიმუშავეს ლექციების თემატიკა ი. ბ. სტალინის ნაწარმოების შემსწავლელთა დასახმარებლად.

ოქტომბერში პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელთა დასახმარებლად მოეწყო ლექციების ციკლი. გარდა ამისა, ბიბლიოთეკას განზრახული აქვს დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში ნოემბერში ჩაატაროს 22 ლექცია.

20 ნოემბრიდან წაკითხულ იქნება ლექციების ციკლი ი. ბ. სტალინის ნაწარმოების „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ცალკეული საკითხების მიხედვით. ლექციები წაკითხულ იქნება შემდეგ საკითხებზე: ამხანაგ სტალინის შრომა კომუნიზმის საპროგრამო დოკუმენტია, ი. ბ. სტალინი სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა და თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის შესახებ, ამხანაგი სტალინი ეკონომიკური კანონების შესახებ სოციალიზმის დროს და სხვ.

• • •

დედაქალაქის ლენინის რაიონში, მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებისადმი მიძღვნილი ლექციები, მოხსენებები, საუბრები.

ლექციები წაიკითხეს ისეთ მსხვილ საწარმოებში, როგორიც არის სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი და ავტოშემკეთებელი ქარხნები.

რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში მოეწყო აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა სპეციალური სემინარი. რაიკომის ბიბლიოთეკაში სისტემატურად ეწყობა კონსულტაცია ამხანაგ სტალინის ნაშრომის შესახებ პროპაგანდისტთა, კონსულტანტთა და აგიტატორთა დასახმარებლად.



ი. ბ. სტალინის შრომის ქართული გამოცემის გარეკანი

უბადლო სახელმძღვანელო

ამხანაგ სტალინის კლასიკურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ დაყენებული და გადაწყვეტილია მარქსისტულ—ლენინური პოლიტიკური ეკონომიის ძირეული საკითხები, გამოკვლეულია სოციალისტურ საზოგადოებაში მატერიალური დოვლათის წარმოებისა და განაწილების ძირითადი კანონები, ნაჩვენებია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები.

ეკონომიკური პრობლემების ღრმა თეორიული ანალიზის მეოხებით ამხანაგმა სტალინმა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერება, გაამდიდრა იგი ახალი დებულებებით, დაწყებული პოლიტიკური ეკონომიის საგნის კლასიკური განსაზღვრით და დამთავრებული სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის წინასწარი პირობების შემუშავებით.

შემოქმედებითად ანვითარებს რა მარქსიზმ — ლენინიზმს, ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა და მეცნიერულად დააასაბუთა თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი. ამ აღმოჩენით ამხანაგმა სტალინმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა კაპიტალიზმის აპოლოგეტებს, მკაფიოდ დაგვანახვა ღრმა უფსკრული კაპიტალისტურ წარმოების წესსა და სოციალისტურ წარმოების წესს შორის.

დიდი სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ფასდაუდებელ დახმარებას მიწევს პოლიტიკური ეკონომიის სწავლებაში. მან უმაგალითო სიცხადე და გარკვეულობა შეიტანა თეორიული პრობლემების გაშუქებაში. მაგალითად, ლექციები ისეთ თემაზე, როგორიც არის „სახალხო მეურნეობის სოციალისტური სისტემა და მისი ეკონომიკური კანონების ხასიათი“, „სოციალისტური საკუთრება“, „სახალხო მეურნეობის სოციალისტური დაგეგმვა“, „ღირებულების კანონი და ფული სოციალიზმის დროს“ და სხვა ავაგე ამხანაგ სტალინის ახალი შრომის საფუძველზე, გამოვიყენე უახლესი ფაქტიური მასალები და მონაცემები სოციალისტური ეკონომიკის განვითარების შესახებ. ყოველივე ამან საგრძნობლად გაზარდა სტუდენტთა ინტერესი პოლიტიკური ეკონომიის პრობლემებისადმი, იმატა სტუდენტთა აქტივობამ სემინარული მეცადინეობის დროს. ეს სტიმულს მაძლევს ვიმუშაო უფრო მეტი ენერგიით ახალი კადრების აღზრდის საქმეში.

ი. კოდუა,
უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტი.

★

დიდი ბელადის შრომა გვეხმარება მუშაობაში

დიდი ინტერესით ვსწავლობ პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელ წრეში ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაწარმოებს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. ამ გენიალურ შრომაში უაღრესად გასაგები ენით არის განმარტებული ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პირობები და გზები.

დიდი სტალინის მიერ აღმოჩენილი სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებს გმირული შრომისათვის ახალი ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად.

ჩემს თვალწინ განხორციელდა ჩვენი ქარხნის ტექნიკური და კულტურული ზრდა. მთავარი, რითაც ჩვენ ვამაყობთ, მუშათა შესანიშნავი კადრებია. ქარხნის ნოვატორების ამხ. კ. ილურიძის, ი. ჭუმბურიძის, მაჩაიძის და სხვათა მუშაობის მეთოდები სამაგალითო და მისაბაძია ყველა ახალგაზრდა მუშისათვის.

მე, როგორც ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკს, ყოველდღიურად მიხდება შევამოწმო საწარმოო ბრიგადების მუშაობის ხარისხი, და ყოველთვის სიხარულის გრძნობა მიპყრობს, როცა ვხედავ, თუ ტექნიკურ ცოდნასთან ერთად როგორ იზრდება ჩვენი რევოლუციური ტრადიციების მქონე ქარხნის კოლექტივის კულტურა, როგორ მაღლდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

დიდი სტალინის კლასიკური შრომის შესწავლა გვეხმარება გამოვნახოთ და გამოვიყენოთ შიდაწარმოების რეზერვები, წარმატებით შევასრულოთ XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

ვ. ბეიტრიშვილი,
სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ტექნიკოსი.

კომუნიზმის გამარჯვების გზა

ამხანაგ სტალინის შრომა — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ საბჭოთა ადამიანებს უჩვენებს კომუნიზმის გამარჯვების გზას, აღაფრთოვანებს მათ ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის.

ძნელია სიტყვებით გამოვთქვა ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩემში გამოიწვია დიდი სტალინის გენიალურმა ნაწარმოებმა. ჩვენი მშობლიური ბელადი თავის ახალ ნაშრომში მარტივი და გასაგები ენით განაზოგადებს საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის უდიდეს გამოცდილებას, მარქსიზმ-ლენინიზმის შუქით გვინათებს კომუნიზმის მშენებლობის გზას.

ამხანაგ სტალინის მიერ ჩამოყალიბებული პროგრამული დებულებანი სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ძირითადი პირობების შესახებ თვითეულ მშრომელს გვავალებს მაქსიმალურად გამოვიყენოთ მანქანა-დანადგარების წარმადობა, გავაუმჯობესოთ დეტალების დამუშავების ტექნოლოგია, სისტემატურად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება და შევამცეროთ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი პირნათლად გავანაღდე და ვადამდე განვახორციელე პირადი ხუთწლიანი გეგმა. ახლა აქტიურ მონაწილეობას ვიღებ ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში და ყოველდღიურ დავალებას 330 პროცენტით ვასრულებ. ჩვენს საამქროში მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან ზინკლები: გ. ბუხრიკიძე, ვ. ფირცხალავა და ვ. გიორგაძე, რომლებმაც მთლიანად აღმოფხვრეს წუნი მუშაობაში და უკვე დიდი ხანია პროდუქციას 1954 წლის ანგარიშში უშვებენ.

ქართველი ჩარხმშენებლები მომავალში უფრო მეტი ენერგიით ვიმუშავებთ იმისათვის, რომ ღირსეული წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მშენებლობაში.

ა. გენდიანიშვილი,
თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სტახანოველი.

შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის გენიალური ნაწარმოები

მიმდინარე წლის ოქტომბრის დამდეგს გამოქვეყნდა ამხანაგ სტალინის ახალი კლასიკური ნაწარმოები: „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. ეს ნაწარმოები ამჟამად გამოიცა ქართულ ენაზე.

ამხანაგ სტალინის ნაშრომი: „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შეუდარებელი სიღრმით, სისრულითა და შორსმხედველობით გვიჩვენებს სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებას, კომუნიზმში გადასვლის მომზადების ძირითად წინასწარ პირობებს და ამ პირობების განხორციელების გზებს.

ამ შრომაში ი. ბ. სტალინი გენიალურად აშუქებს სოციალისტური საზოგადოებისა და თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკური განვითარების ყველა საკვანძო პრობლემას და გვისახავს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების გაშლილ საბრძოლო პროგრამას.

ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ „...პროლეტარიატის პარტია, თუ მას სურს იყოს ნამდვილი პარტია, უნდა დაეუფლოს, უწინარეს ყოვლისა, წარმოების განვითარების კანონების ცოდნას, საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონების ცოდნას“. როგორც ცნობილია, ზოგიერთ საბჭოთა ეკონომისტს არასწორად ესმოდა ეკონომიკური კანონების ხასიათი და მათი მნიშვნელობა სოციალისტურ საზოგადოებაში. ეკონომისტების ნაწილი უგულებელყოფდა ისტორიული მატერიალიზმის ძირითად დებულებას, რომ „ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას“, ეკონომიკურ კანონებს აიგივებდა იურიდიულ კანონებთან და შესაძლებლად მიაჩნდა ადამიანთა სურვილით ეკონომიკური კანონის შექმნა, მოსპობა და გარდაქმნა. იყო აგრეთვე ცდები ეკონომიკური კანონების ფეტიშიზაციისა, იმის მტკიცებისა, რომ საზოგადოებას თითქოს უნარი არა აქვს შეიცნოს და გამოიყენოს ეკონომიკური კანონები.

ამხანაგმა სტალინმა თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მთელი სიცხადით გვიჩვენა აღნიშნულ შეხედულებათა ანტიმეცნიერულობა, განსაზღვრა ეკონომიკურ კანონთა რაობა და მათი თავისებურებანი.

„მარქსიზმს მეცნიერების კანონები ესმის, — ამბობს ი. სტალინი, — სულ ერთია ეხება საქმე ბუნების მეცნიერების კანონებს თუ პოლიტიკური ეკონომიის კანონებს, — როგორც ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტური პროცესების ასახვა. ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიცნონ ისინი, შეისწავლონ ისინი, გაითვალისწინონ ისინი თავიანთ მოქმედებაში, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შეცვალონ ან გააუქმონ ისინი“.

ამხანაგი სტალინი გვაძლევს ბუნების მეცნიერებათა კანონებისაგან ეკონომიკურ კანონთა განმასხვავებელი თავისებურებების მეცნიერულ დახასიათებას. პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ასეთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ „... მისი კანონები... არახანგრძლივია, რომ ისინი, მათი უმეტესობა მაინც, გარკვეული ისტორიული პერიოდის განმავლობაში მოქმედებენ, რის შემდეგაც ადგილს უთმობენ ახალ კანონებს“.

ბუნების მეცნიერებათაგან განსხვავებით, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ეკონომიკურ სფეროში ახალი კანონის აღმოჩენა-გამოყენება აწყდება მომაკვდავი, რეაქციული კლასების უძლიერეს წინააღმდეგობას და საჭიროა საზოგადოებრივი ძალა ამ წინააღმდეგობის გადასალახავად. ასეთ ძალას წარმოადგენს მოცემული საზოგადოების მოწინავე, რევოლუციური კლასი. კლასობრივ საზოგადოებაში ყოველთვის და ყველგან ეკონომიკური კანონების გამოყენებას კლასობრივი სარჩული აქვს და იგი კლასობრივი ბრძოლის გზით ხორციელდება.

ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა საწარმოო ძალთა ხასიათთან წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიკური კანონი და ამ საფუძველზე მოგვცა საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული როლის მეცნიერული ახსნა. მან აღმოაჩინა სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ეკონომიკური კანონი და გვიჩვენა ამ კანონის განსხვავება სოციალისტური დაგეგმვისაგან.

ი. ბ. სტალინმა ახსნა განსაკუთრებული სახის სასაქონლო წარმოებისა და ღირებულების კანონის არსებობა და გვიჩვენა მათი მნიშვნელობა სოციალიზმის დროს. მან დაასაბუთა, რომ „ღირებულება, ისევე როგორც ღირებულების კანონი, ისტორიული კატეგორიაა, რომელიც დაკავშირებულია სასაქონლო წარმოების არსებობასთან. სასაქონლო წარმოების გაქრობასთან ერთად გაქრება ღირებულებაც მისი ფორმებითურთ და ღირებულების კანონიც“.

ი. ბ. სტალინმა განსაზღვრა სოციალიზმის დროს საწარმოო ძალთა ხასიათთან წარმოებითი ურთიერთობის სრული შესაბამისობის არსი და გვიჩვენა, რომ საბჭოთა წყობილებაშიც საწარმოო ძალები წარმოების ყველაზე უფრო რევოლუციური ელემენტია. ამავე დროს ამხანაგმა სტალინმა გამოააშკარავა წარმოებითი ურთიერთობათა შესახებ ლ. იაროშენკოს შეხედულების ანტიმარქსისტული ხასიათი. ი. ბ. სტალინმა გვიჩვენა, რომ საწარმოო ძალთა ხასიათთან შეუსაბამო, ძველი წარმოებითი ურთიერთობანი ამუხრუჭებენ საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას. პირიქით, ახალი წარმოებითი ურთიერთობანი არის ის მთავარი და გადამწყვეტი ძალა, რომელიც განსაზღვრავს საწარმოო ძალების შემდგომ, მძლავრ განვითარებას. ძველი, საწარმოო ძალთა ხასიათთან შეუსაბამო წარმოებითი ურთიერთობანი ამუხრუჭებენ, გასაქანს არ აძლევენ თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების საწარმოო ძალთა განვითარებას. ამიტომ ბურჟუაზიული სამყაროს, უპირველეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო წარმოება გამძაფრებული ეკონომიკური კრიზისებით, ომებით, მეურნეობის მილიტარიზაციით და მშრომელი მასების მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით ხასიათდება. იქ საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარება სულ უფრო და უფრო მეტი ზომით მუხრუჭდება.

საბჭოთა კავშირში წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი გამაგრებულია წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრებით. აქ ახალი, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი სავსებით შეესაბამებიან საწარმოო ძალთა ხასიათს და უზრუნველყოფენ ამ ძალების მძლავრ, განუწყვეტელ აღმავლობას.

ი. ბ. სტალინმა თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მოგვცა პოლიტიკური ეკონომიის საგნის კლასიკური განსაზღვრა. „პოლიტიკური ეკონომიის საგანია,—ამბობს ი. სტალინი, — ადამიანთა წარმოებითი, ეკონომიკური ურთიერთობანი. ამას მიეკუთვნება: ა) წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმები; ბ) აქედან გამომდინარე მდგომარეობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა წარმოებაში და მათი ურთიერთდამოკიდებულება, ანუ, როგორც მარქსი ამბობს: „თავიანთი საქმიანობის ურთიერთგაცვლა“; გ) მთგან სავსებით დამოკიდებული ფორმები პროდუქტების განაწილებისა. ყველა ეს ერთად შეადგენს პოლიტიკური ეკონომიის საგანს“.

ი. ბ. სტალინმა გვიჩვენა საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობის ხასიათი სოციალიზმის დროს, ახსნა მათი განვითარების დიალექტიკა. სოციალისტურ სოზაგადოებაში საწარმოო ძალების განვითარება წინ უსწრებს წარმოებით ურთიერთობათა განვითარებას. მათ შორის არის და იქნება წინააღმდეგობანი, რამდენადაც წარმოებითი ურთიერთობათა განვითარება ჩამორჩება საწარმოო ძალთა განვითარებას. „ხელმძღვანელი ორგანოების სწორი პოლიტიკის პირობებში ეს წინააღმდეგობანი,— ამბობს ამხანაგი სტალინი, — არ შეიძლება იქცნენ დაპირისპირებულობად, და აქ საქმე არ შეიძლება მივიდეს კონფლიქტამდე საზოგადოების წარმოებით ურთიერთობათა და საწარმოო ძალთა შორის“.

საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებათა გენიალური ანალიზის საფუძველზე ი. სტალინმა აღმოაჩინა და ჩამოყალიბა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის მომზადების ძირითადი წინასწარი პირობები და მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრა კომუნიზმის უმაღლესი ფაზის განხორციელების გზები.

ამხანაგ სტალინის განსაზღვრით კომუნიზმში გადასვლის მომზადების პირველ ძირითად წინასწარ პირობას წარმოადგენს ის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპროგრამო დოკუმენტი

საკოლმეურნეო ცხოვრების შემდგომი აყვავებისათვის

ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ამხანაგ სტალინის გენიალური ნაწარმოები „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ კომუნიზმის მშენებლობის საპროგრამო დოკუმენტია. იგი გვისახავს საკოლმეურნეო ცხოვრების შემდგომი აყვავების გზას.

ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცება და განვითარება და ამ საფუძველზე მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის გადიდება. სოფანლუღელი კოლმეურნეები, აღფრთოვანებულნი ამხანაგ სტალინის გენიალური ნაწარმოებით, გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად, უხვი მოსავლის მისაღებად.

ჩვენს კოლმეურნეობას შემუშავებული აქვს მოსავლიანობის გადიდების ხუთწლიანი გეგმა. ამ გეგმის მიხედვით კოლმეურნეობამ 1957 წლისათვის, ხორბლის ნათესის გადიდებასთან ერთად, თვითეულ ჰექტარზე უნდა მოიყვანოს ურწყავ მიწებზე 22 ცენტნერი ხორბალი, ხოლო სარწყავზე—30-34 ცენტნერი, ამასთან ერთიორად მეტ ბოსტნეულს მიიღებენ დედაქალაქის მშრომელები. ხუთწლედის ბოლოსათვის საგრძნობლად გადიდდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება და თვითეული საფფურაჟე ძროხის წველადობა აყვანილ იქნება 3.000 ლიტრამდე.

კოლმეურნეებს ესმით, რომ მაღალი მოსავლის მიღება წარმოუდგენელია მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოუყენებლად.

„ჩვენ ყველას გვიხარია, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების უზარმაზარი ზრდა, მარცვლეულის წარმოების, ბამბის, სელის, ჭარხლისა და სხვ. წარმოების ზრდა. სად არის ამ ზრდის წყაროა? ამ ზრდის წყაროა თანამედროვე ტექნიკა, მრავალრიცხოვანი თანამედროვე მანქანები, რომლებიც წარმოების ყველა ამ დარგს ემსახურება. საქმე აქ საერთოდ მარტო ტექნიკა კი არაა, არამედ ის, რომ ტექნიკა არ შეიძლება ერთ ადგილზე იდგეს, ის მუდამ სრულყოფილი უნდა ხდებოდეს, რომ ძველი ტექნიკა მწყობრიდან უნდა გამოდიოდეს და იცვლებოდეს ახლით, ახალი კი — უახლესი ტექნიკით. უამისოდ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩვენი სოციალისტური მიწათმოქმედების წინსვლა, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ არც დიდი მოსავალი, არც სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე“.

ჩვენ, კოლმეურნეები, კიდევ უფრო განვამტკიცებთ შეგობრობას მექანიზატორებთან, თავდადებით ვიბრძოლებთ სტალინური დავალების შესასრულებლად, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანის — საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის ამოცანის წარმატებით განხორციელების საქმეში.

ბ. მიგრიაული,
თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ სოღანლუღის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებისადმი მიძღვნილი სხდომა

ბათუმი. (საკ. კორ.). რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრამ მოაწყო საჯარო სხდომა, მიძღვნილი ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

საჯარო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა დოცენტმა ს. ქუთათელაძემ. ი. ბ. სტალინის ახალი შრომის შესახებ მოხსენება წაიკითხა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა კ. ბაბილოძემ. სხდომამ მოიწონა გეგმა, რომელიც შეიმუშავა პოლიტიკური ეკონომიის კათედრამ ამხანაგ სტალინის კლასიკური შრომის შესწავლის უზრუნველსაყოფად.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრის მეცადინეობაზე. ფოტო ვ. გინზბურგისა.

მეცნიერული შემოქმედების დაუშრეტელი წყარო

ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომლის გამოქვეყნებას საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა, მეცნიერული შთაგონების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს.

განუზომელია ი. ბ. სტალინის ამ კლასიკური შრომის მნიშვნელობა ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეში.

საზოგადოებათმეცნიერების მუშაკთა წინაშე უაღრესად დიდი ამოცანები დგას. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა ღრმად შევისწავლოთ მარქსისტული თეორიული აზრის ეს უდიდესი მონაპოვარი და მის საფუძველზე გარდავქმნათ მთელი ჩვენი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობა. ჩვენი მოვალეობაა მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხების გაშუქება და სწავლება ორგანულად დავუკავშიროთ ი. ბ. სტალინის ამ კლასიკურ შრომაში განვითარებულ იდეებს. მაგალითად, როცა განვიხილავთ ლენინიზმის ისტორიულ ბრძოლებს ნაროდნიკების, ესერების, ანარქისტებისა და სხვ. წინააღმდეგ, აუცილებელია განვმარტოთ, რომ ეს უკანასკნელები, როგორც იდეალისტები, არ ცნობდნენ ყოფიერების განმსაზღვრელ როლს ცნობიერების მიმართ, არ ცნობდნენ იმას, რომ მეცნიერების კანონები წარმოადგენენ ობიექტური, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი პროცესების ასახვას. ასეთი წანამძღვრიდან გამომდინარე, ისინი თავიანთ პრაქტიკულ მოქმედებას არ უფარდებდნენ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს და ამის გამო გარდუვალ მარცხს განიცდიდნენ.

როცა განვიხილავთ ლენინიზმის ისტორიულ ბრძოლებს „ეკონომიზმის“, მენშევიზმისა და სხვ. წინააღმდეგ, აუცილებელია განვმარტოთ, რომ ქედის მოხრა სტიქიურობის წინაშე, რაც დამახასიათებელი იყო და არის ყველა ჯურის ოპორტუნიზმისათვის, მათ შორის თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტებისათვის, ემყარება იმ ანტიმეცნიერულ წანამძღვარს, რომ თითქოს საზოგადოება უძლურია ობიექტური კანონების წინაშე, და მხოლოდ ის დარჩენია, რომ პასიურად დაემორჩილოს მათ. ყველა ჯურის ოპორტუნისტები მიმართავდნენ და მიმართავენ ობიექტური კანონების ფეტიშიზაციას და ამგვარად ძირშივე ღალატობენ მეცნიერებას, რომელიც გვასწავლის, თუ როგორ შევიცნოთ ეს კანონები და მათზე დაყრდნობით როგორ მივაღწიოთ მათი მოქმედების სფეროს შეზღუდვას, ამ კანონების საზოგადოებისათვის სასარგებლოდ გამოყენებას. საზოგადოების განვითარების კანონების ფეტიშიზაცია მეორე ინტერნაციონალის პარტიების დაცემისა და გახრწნის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს.

ასეთი მეთოდიკური საკითხების განხილვა-დამუშავება საზოგადოებათმეცნიერებათა კათედრების მუშაობის პირველი რიგის ამოცანაა.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა შეუდგა თავისი საქმიანობის გარდაქმნას ი. ბ. სტალინის ამ გენიალური შრომის საფუძველზე. შედგენილ იქნა თემატიკა, რომლის მიხედვით ეწყობა ლექციამოხსენებები, მზადდება და უახლოეს ხანში მოეწყობა თეორიული კონფერენციები ფაკულტეტებზე და ცალკე კურსებზე. რამდენიმე დღის წინათ შედგა მარქსიზმ-ლენინიზმის, დიალექტიკური მატერიალიზმის და პოლიტიკური ეკონომიის კათედრების წევრთა საერთო კრება, რომელზეც განხილულ იქნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესების საკითხები. ამავე კათედრების გაერთიანებულ ღია სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები თემებზე: „ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და ეკონომიური მეცნიერებათა სწავლების ამოცანები“, „მეცნიერული კომუნიზმის თეორიის განვითარება ი. ბ. სტალინის შრომაში“, „მატერიალისტური დიალექტიკის განვითარება ი. ბ. სტალინის შრომაში“.

ი. ბ. სტალინის კლასიკური შრომით და მის მიერ პარტიის XIX ყრილობაზე წარმოთქმული ისტორიული სიტყვით შთაგონებული, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის კოლექტივი, მისი ყოველი წევრი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება ამ დიდი თეორიული ნაშრომის შესწავლას, რათა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების საქმე ჩვენს შშობლიურ უნივერსიტეტში, რომელიც ჩვენს სამშობლოს უზრდის და კვლავაც გაუზრდის კომუნიზმის შეგნებულ, ყოველმხრივ განათლებულ მშენებლებს.

ლ. ებანოიძე,
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე.

რომ „...მტკიცედ უზრუნველვყოთ... მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა, ამასთან წარმოების სამუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა“.

ი. სტალინმა გვიჩვენა, რომ თანამედროვე საბჭოთა საზოგადოებაში არსებობს სოციალისტური წარმოების ორი ძირითადი ფორმა: სახელმწიფო, საერთო-სახალხო წარმოება და საკოლმეურნეო წარმოება. ამის გამო ჯერ კიდევ აუცილებელია სასაქონლო მიმოქცევისა და ღირებულების კანონის არსებობა. ამჟამად საკოლმეურნეო-ჯგუფური საკუთრება და სასაქონლო მიმოქცევა წარმატებით გამოიყენება სოციალისტური მეურნეობის განვითარებისათვის. უახლოეს მომავალშიც ისინი უეჭველია სარგებლობას მოუტანენ ჩვენი მეურნეობის შემდგომ წინსვლას. მაგრამ, როგორც ამხანაგ სტალინი გვასწავლის, მიუტევებელი სიბრმავე იქნებოდა ვერ დაგვენახა ის გარემოება, რომ საკოლმეურნეო-ჯგუფური საკუთრება და სასაქონლო მიმოქცევა უკვე ახლა იწყებენ ჩვენი საწარმოო ძალების მძლავრი განვითარების დამუხრუჭებას, ეს მოვლენები დაბრკოლებას უქმნიან სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მთლიან სახელმწიფო დაგეგმვას. ამრიგად, კომუნიზმში გადასვლის მეორე ძირითადი წინასწარი პირობის შესაქმნელად აუცილებელია „...კოლმეურნეობებისა და, მაშასადამე, მთელი საზოგადოების სასარგებლოდ განხორციელებული თანდათანობითი გადასვლების გზით საკოლმეურნეო საკუთრება ავიყვანოთ საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე, ხოლო საქონელმიმოქცევა აგრეთვე თანდათანობითი გადასვლების გზით შევცვალოთ პროდუქტგაცვლის სისტემით, რათა ცენტრალურ ხელისუფლებას ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცენტრს შეეძლოს საზოგადოების ინტერესებისათვის მოიცვას საზოგადოებრივი წარმოების მთელი პროდუქცია“.

ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ კომუნიზმში გადასვლის მომზადების მესამე ძირითადი წინასწარი პირობის განსახორციელებლად აუცილებელია „...მივაღწიოთ საზოგადოების ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფდა მათი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოვლმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საკმაო განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწენი, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, შრომის არსებული დახაწილების გამო, მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული კი არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე, არამედ თავისუფლად აირჩიონ პროფესია“.

ამხანაგ სტალინის განსაზღვრით ამ მესამე ძირითადი პირობის განხორციელებისათვის საჭიროა, ჯერ-ერთი, სამუშაო დღის შემცირება 6-ს და შემდეგ 5 საათამდე. ამით საზოგადოების წევრებს საკმაო დრო ექნებათ ყოველმხრივი განათლების მისაღებად; მეორე, აუცილებელია საყოველთაო-სავალდებულო პოლიტექნიკური სწავლების შემოღება, რათა საზოგადოების წევრებმა თავისუფლად აირჩიონ პროფესია; მესამე, ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს საბინაო პირობები და ამაღლდეს მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი ერთიორად და უფრო მეტად.

ამრიგად, ამხანაგმა სტალინმა მეცნიერული სიზუსტით დაახასიათა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ძირითადი პირობები, ამ პირობების განხორციელების გზები და მოგვცა ჩვენს ქვეყანაში სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების გაშლილი საბრძოლო პროგრამა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად შესწავლას, განსაკუთრებით ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შემოქმედებითად ათვისება-გამოყენებას და ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველი ჯურის გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისა და ყველა მშრომელის კომუნისტური აღზრდის უზრუნველყოფისათვის.

ამხანაგ სტალინის გენიალური მოძღვრება კომუნიზმში გადასვლის მომზადების ძირითად წინასწარ პირობებზე საფუძვლად დაედო პარტიის XIX ყრილობის დირექტივებს საბჭოთა კავშირის განვითარების 1951-1955 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომლის შესრულებით საბჭოთა ხალხი ახალ დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ, კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ მიმავალ ისტორიულ გზაზე.

ი. ბ. სტალინმა თავის გენიალურ ნაშრომში მოგვცა თანამედროვე კაპიტალიზმის კანონზომიერებათა ამომწურავი მეცნიერული ანალიზი, დაასაბუთა, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგად გაითიშა ერთიანი ყოვლისმომცველი მსოფლიო ბაზარი. კაპიტალის სამყაროს სამუდამოდ ჩამოშორდნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტურმა ხროვამ ყველა საშუალება გამოიყენა, რათა ჩაეხშო სოციალიზმისა და დემოკრატიის ქვეყნების განვითარება, მაგრამ მათმა პოლიტიკამ მიზანს ვერ მიაღწია, პირიქით, უფრო გააძლიერა თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის. ჩამოყალიბდა, განმტკიცდა და გაძლიერდა ახალი მსოფლიო ბაზარი, რომლის განვითარება ემყარება ხალხთა ნამდვილ თანასწორუფლებიანობასა და სოციალისტურ ურთიერთდახმარებას.

ამავე დროს ომისშემდგომმა განვითარებამ გაამძაფრა კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, გააღრმავა და გააძლიერა ლპობადი ბურჟუაზიული სამყაროს ყველა წინააღმდეგობა, შეიზღუდა მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების ძალთა გამოყენების ასპარეზი.

ამხანაგმა სტალინმა კვლავ ხაზი გაუსვა ლენინურ დებულებას, რომ ომების გარდუვალობის აღმოფხვრა მარტოოდენ იმპერიალიზმის მოსპობის გზით შეიძლება.

ი. ბ. სტალინმა აღმოაჩინა თანამედროვე კაპიტალიზმის და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონები. თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მთავარი ნიშნები და მოთხოვნებია „...მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად“.

ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის რაობა. ამ კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნებია: „...მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“. დასახელებული ძირითადი ეკონომიკური კანონების სტალინური განსაზღვრა შეუდარებელი სისრულით გვიჩვენებს თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალისტური წყობილების ყველა მთავარ მხარეებსა და პროცესებს, მათს არსს. მომაკვდავი კაპიტალიზმის არსია პარაზიტული კლასების, პირველ რიგში ერთი მუჭა ფინანსური ოლიგარქიის მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა. აღმავალი, მზარდი სოციალიზმის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს ადამიანის, მთელი საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, განსაზღვრავს რა სოციალისტური წყობილების ყველა ძირითად მხარეებსა და პროცესებს, მთელი სიცხადით გვიჩვენებს ამ წყობილების გადამწყვეტ უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე. თანამედროვე ორი სამყაროს ძირითადი ეკონომიკური კანონების სტალინური ფორმულირება გამანადგურებელ ლახვარს სცემს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს მომაკვდავი კაპიტალიზმის ყველა ჯურის აპოლოგეტებს. იგი თვალნათლივ უჩვენებს მთელ პროგრესულ კაცობრიობას, რომ მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვებისა და განვითარების გზით შეიძლება იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლება, თანამედროვე საზოგადოების შემდგომი წინსვლის განხორციელება.

ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომი—„სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ძლევამოსილი კომუნიზმის პროგრამული დოკუმენტია. ეს ნაშრომი მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის განვითარების უმაღლეს ეტაპს წარმოადგენს, იგი განსაზღვრავს სოციალისტური წყობილების არსს, მისი განვითარებისა და კომუნიზმის განხორციელების კანონზომიერებას. ამხანაგ სტალინის ეს ნაშრომი ჩვენი პარტიის XIX ყრილობამ მიიღო როგორც პარტიის პროგრამის გადამუშავების საფუძველი.

ამხანაგ სტალინის ნაშრომი საბჭოთა ხალხისა და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის გამოცდილების შეუდარებელი თეორიული განზოგადებაა. ამ ნაშრომს უდიდესი დამრაზმველი მნიშვნელობა აქვს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობისა და მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების საქმისათვის.

ი. ბაჯაძე.

> თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მთავარი ნიშნები და მოთხოვნები შეიძლებოდა დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოყალიბებულიყო: მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, „გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად.
>
> ი. სტალინი

კაპიტალის ქვეყნებში ციფრები და ფაქტები

სახალხო მეურნეობის მილიტარიზაცია, სამხედრო ეკონომიკა კაპიტალისტურ ქვეყნებში უდიდეს სახსრებს ნთქამს. ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ბიუჯეტების უდიდესი ნაწილი ახალი ომისათვის მომზადებაზე იხარჯება. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების 1952-1953 წლების მთელი ბიუჯეტის 74 პროცენტი პირდაპირ სამხედრო ხარჯებს ხმარდება, რაც ერთისამად აღემატება სამხედრო ხარჯებს კორეაში ომის დაწყებამდე. ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები კვეცენ სამოქალაქო წარმოებას, რითაც იწვევენ მოდუნებას მრეწველობაში. 1949-1950 წლებში ატლანტიკის ბლოკში შემავალი დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამხედრო ხარჯები შეადგენდა 6,2 მილიარდ დოლარს. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მოთხოვნით ეს თანხა 1952-1953 წლების ბიუჯეტებში დიდდება თითქმის 16 მილიარდ დოლარამდე. პირდაპირი სამხედრო ხარჯები ამერიკის შეერთებულ შტატებში 1 მილიარდი დოლარიდან, რაც 1937-1938 საბიუჯეტო წელს იყო, გადიდდა 58,2 მილიარდ დოლარამდე 1952-1953 საბიუჯეტო წელს. ინგლისში სამხედრო ხარჯები შესაბამისად 197 მილიონი გირვანქა სტერლინგიდან გადიდდა 1.634 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე.

* * *

ავრესიული ბანაკის ყველა ქვეყანაში გამალებულმა შეიარაღებამ გააუარესა მშრომელთა ისედაც ცუდი საარსებო პირობები. განუწყვეტლივ მატულობს ფართო მოხმარების საქონლის ფასები. სწრაფი ტემპით ქვეითდება ცხოვრების დონე. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, ინგლისში, იტალიაში, ბელგიასა და დასავლეთ გერმანიაში მთლიანად და ნაწილობრივ უმუშევართა რაოდენობა 32 მილიონს აღწევს. საფრანგეთსა და იტალიაში მუშათა რეალური ხელფასი 1952 წელს ომამდელის ნახევარზე ნაკლებს შეადგენს, ინგლისში ომამდელზე 20 პროცენტით დაბალია. ცხოვრების ღირებულება ამერიკის შეერთებულ შტატებში 1939 წელთან შედარებით თითქმის ერთისამად გადიდდა.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში ხორცის წარმოება 1951 წელს 1946 წელთან შედარებით 437 ათასი ტონით შემცირდა, ხოლო ერბოკარაქის წარმოება ამავე წელს 1940 წელთან შედარებით 281 ათასი ტონით შემცირდა. ჭარხლის შაქრის წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში 1951 წელს 1950 წელთან შედარებით შემცირდა 338 ათასი ტონით, საფრანგეთში — 142 ათასი ტონით. კაპიტალისტურ ქვეყნებში ფასების დონე განუხრელად მაღლდება. 1947 წლის დამლევიდან 1952 წლამდე პურის ფასები ამერიკის შეერთებულ შტატებში გადიდდა 28 პროცენტით, ინგლისში—90 პროცენტით, საფრანგეთში — ერთიორად და მეტად. ამავე პერიოდში ხორცის ფასები ამერიკის შეერთებულ შტატებში გადიდდა 26 პროცენტით, ინგლისში—35 პროცენტით, საფრანგეთში—88 პროცენტით. ინგლისის მთავრობამ 5 ოქტომბერს კვლავ გაადიდა კვების პროდუქტების ფასები, რაც კიდევ უფრო აუარესებს ინგლისელ მშრომელთა ცხოვრებას.

* * *

გამალებული შეიარაღება იწვევს მილიარდერებისა და მილიონერების უმაგალითო გამდიდრებას. ომისშემდგომ 7 წელიწადში ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტების მოგება შეადგენდა თითქმის 200 მილიარდ დოლარს, მარტო 1951 წელს მათი მოგება 1938 წელთან შედარებით 13-ჯერ გადიდდა. უდიდეს მოგებას იღებენ ინგლისელი ჯიბეხსქელი მონოპოლისტები, აგრეთვე საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და სხვა ქვეყნების კაპიტალისტური მონოპოლიები. ამავე დროს იზრდება მოსახლეობის გადასახადები. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის პირდაპირი გადასახადები მიმდინარე საბიუჯეტო წელს 1937-1938 საბიუჯეტო წელთან შედარებით, ვალუტის გაუფასურებაც რომ მივიღოთ მხედველობაში, 12-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა. ტრუმენმა თავისი პრეზიდენტობის წლებში მეტი გადასახადები აკრიფა, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების ყველა წინანდელმა 31 პრეზიდენტმა.

კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელნი საშინელ ნიღატაკესა და სიბნელეში ცხოვრობენ. ირანში მოსახლეობის ყოველ 10 ათას კაცზე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 3 კაცი, ინდოეთში—21, იტალიაში—32, დანიაში—34, საფრანგეთში—36 კაცი, მაშინ როცა მარტო საბჭოთა აზერბაიჯანში ყოველ 10 ათას მცხოვრებზე უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 93 კაცი. ეგვიპტეში ერთი ექიმი მოდის 4.350 კაცზე, პაკისტანში — 31 ათას კაცზე, საფრანგეთში—1.000 კაცზე, ხოლო ჰოლანდიაში ერთი ექიმი მოდის მოსახლეობის ყოველ 1.160 კაცზე, მაშინ როცა მარტო საბჭოთა საქართველოში 1 ექიმი მოდის ყოველ 373 კაცზე.

* * *

უმაგალითოდ გაუფასურდა ფული კაპიტალისტურ ქვეყნებში. დოლარის მყიდველობითი უნარი 1951 წელს 1939 წელთან შედარებით შეადგენს მხოლოდ 43 პროცენტს, გირვანქა სტერლინგისა—32 პროცენტს, ფრანგული ფრანკისა—3,8 პროცენტს, იტალიური ლირისა—2 პროცენტზე ნაკლებს. კაპიტალისტური ქვეყნები ახალი ეკონომიკური კრიზისისაკენ მიექანებიან.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და სხვა კოლონიური სახელმწიფოები ცდილობენ კოლონიების ძარცვის გზით აინაზღაურონ მძიმე ხარჯები, რასაც მათ ეკონომიკის მილიტარიზაცია და გამალებული შეიარაღება აკისრებს. ბევრი კოლონიური ქვეყნის — ეგვიპტის, ირანის, სირიის, მაროკოს, ტუნისის და სხვ. ტერიტორია სამხედრო ბაზებისათვის არის გამოყენებული, ხოლო მათს მოსახლეობას მომავალ ომში „საზარბაზნე ხორცის“ როლისათვის ამზადებენ. იმპერიალისტების მიერ ხანგრძლივი ჩაგვრისა და ფეოდალური ნაშთების არსებობის შედეგად, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ეკონომიკა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა დაცემულია. ათეულ მილიონობით ადამიანი იმოეთში, ინდონეზიაში, ირანში, აფრიკის ქვეყნებში მუდმივი შიმშილის პირობებში ცხოვრობს, ხოლო უამრავი ადამიანი შიმშილით სიკვდილის მსხვერპლი გახდა. კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები სულ უფრო მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ იმპერიალისტ დამმონებლებს. ფართოვდება და ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ვიეტნამში, ბირმაში, მალაიაში, ფილიპინებზე, ინდონეზიაში, ინდოეთში, ირანში, ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში მეშახტეები ყველაზე უფრო დაბეჩავებული და გაუვლეფილი ადამიანები არიან. კაპიტალისტები შახტებში არ იღებენ საჭირო ღონისძიებებს უბედური შემთხვევების თავიდან ასაშორებლად. პრეზიდენტი ტრუმენი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ 1951 წლის 21 დეკემბერს „უსტ-ფრანკფორტის (ილინოისის შტატი) შახტში მომხდარი კატასტროფის შედეგად დაიღუპა 119 მეშახტე. ოთხი წლის წინათ ამავე შტატის მეორე შახტში კატასტროფის დროს დაიღუპა 111 კაცი. ამ ორ კატასტროფას შორის განვლილ პერიოდში ამერიკის შახტებში დაიღუპა ან დაშავდა რამდენიმე ათასი მეშახტე. თითქმის ყოველდღე, გამოტეხილად ამბობს ტრუმენი, რომელიმე შახტში იღუპებიან მეშახტეები, რომლებიც შეიძლებოდა ცოცხალი დარჩენილყვნენ.“

ბერლინში საბჭოთა საკონტროლო კომისიის წარმომადგენლის ს. ა. დენგინის წერილი ბერლინის ამერიკული სექტორის კომენდანტის გენერალ-მაიორ მეტიუსონისადმი

ბერლინი, 17 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ცნობილი გახდა, 15 ნოემბერს ბერლინში საბჭოთა საკონტროლო კომისიის წარმომადგენელმა ს. ა. დენგინმა ბერლინის ამერიკული სექტორის კომენდანტს გენერალ-მაიორ მეტიუსონს გაუგზავნა წერილი ბერლინში ამერიკის გარნიზონის სამხედრო მოსამსახურეთა უღირსი საქციელის გამო.

წერილში აღნიშნულია, რომ ამა წლის 2 ოქტომბერს ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე ტომსონ ლოიდი, რომელიც მთვრალი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ზეეპოფის რაიონში, თავხედურად ექცეოდა გერმანელ მოქალაქეებს და შეურაცხყოფას აყენებდა მათ.

ანალოგიური შემთხვევა იყო ამა წლის 23 ოქტომბერს ორანიენბურგის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) რკინიგზის სადგურზე.

ს. ა. დენგინი წერილში აღნიშნავს მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა უღირსი საქციელის გამო და მოითხოვს შეწყდეს საზოგადოებრივი წესრიგის ასეთი დარღვევები.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური

შანხაი, 17 ნოემბერი. (საკდესი). აღმოსავლეთ ჩინეთში ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებს. როგორც გაზეთი „სინვენიბაო“ იუწყება, ამ დღეებში შანხაის საფეიქრო მანქანათმშენებელ ქარხანაში გაიმართა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა გადაწყვიტეს ენახათ საბჭოთა კინოფილმები, დაეთვალიერებინათ საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენები, მოესმინათ მოხსენებანი და საუბრები ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შესახებ, ლექციები მოწინავე საბჭოთა გამოცდილების შესახებ, აგრეთვე მოეწყოთ რუსული ენის შესასწავლი კურსები. დღემდე, წერს გაზეთი, ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა უკვე 90 პროცენტზე მეტი შევიდა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრად.

გაზეთ „ძეფანკიბაოს“ ცნობით, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურს ფართოდ აღნიშნავენ შანხაის რკინიგზის სამმართველოს მუშები და მოსამსახურეები. სამმართველოს ყველა უბანში გაიმართა ოქტომბრის 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგები და კრებები, ეწყობა მასობრივი სეირნობანი, საბჭოთა კინოფილმების ნახვა.

აქ ერთთვიურის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიებაა საბჭოთა მოწინავე გამოცდილების კიდევ უფრო გულდასმით შესწავლა. 7 ნოემბერს ციშუიანის რკინიგზის სახელოსნოებში გაიხსნა შრომის მოწინავე საბჭოთა მეთოდების შესასწავლი სპეციალური კურსები. საბჭოთა რკინიგზელების წარმატების შესახებ ლექციები და საუბრები ეწყობა აგრეთვე შანხაის რკინიგზის სამმართველოს სხვა უბნებში.

ამას წინათ ნანკინის საორთქლმავლო დეპოს ბრიგადამ, რომელსაც მემანქანე ძიან გუნ-ჩენი ხელმძღვანელობს, დაამყარა მძიმე შემადგენლობათა წაყვანის რეკორდი. მან გაატარა შემადგენლობა, რომლის წონა 5.270 ტონს უდრიდა. ამავე დეპოს მეორე საორთქლმავლო ბრიგადამ მემანქანე ჩენ ბო-ჩუანის მეთაურობით ორთქლმავლის სარეკორდო სადღეღამისო გარბენს მიაღწია—გაიარა 1.244 კილომეტრი. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის მსვლელობაში იზრდება ჩინელ რკინიგზელთა საწარმოო აქტივობა. ბევრი მათგანი კისრულობს ვალდებულებას მთლიანად და გადამეტებით შეასრულოს თავისი წლიური საწარმოო დავალებანი. 8 ნოემბერს დიდ წარმატებას მიაღწიეს სადგურ უსის რკინიგზელებმა. ამ დღეს მათ დაამთავრეს ვაგონების დატვირთვის წლიური გეგმის შესრულება და იკისრეს ვალდებულება წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით დატვირთონ კიდევ 2.000 ვაგონი.

გონის სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ

ბერლინი, 17 ნოემბერი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო მიუნხენიდან იუწყება, რომ ბუნდესტაგის დეპუტატმა, ბავარიის პარტიის წარმომადგენელმა პარტეინგერმა გააკეთა განცხადება, რომელშიც იგი ილაშრეს ბონის სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ.

ადენაუერის სამხედრო ხელშეკრულებებს პარტეინგერმა უწოდა პირდაპირი გზა მესამე მსოფლიო ომისაკენ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადენაუერი ცდილობს დააჩქაროს ამ ხელშეკრულებათა რატიფიკაცია, რადგან დღითიდღე მატულობს იმ დეპუტატთა რიცხვი, რომლებიც სამხედრო ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ და ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შექმნის ხელშეკრულების წინააღმდეგ ილაშქრებენ.

ბერლინი. 17 ნოემბერი. (საკდესი). შპანდაუს (ბერლინის ინგლისური სექტორი) რაიონის 3.000-მდე მცხოვრები, რომლებმაც გუშინ ინახულეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ბერლინის დემოკრატიულ სექტორში, შემდეგ შეიკრიბა მიტინგზე და მიიღო წერილი ბუნდესტაგის თავჯდომარის ელერსისადმი. წერილში ნათქვამია: „ჩვენ მივესალმებით საერთაშორისო კონფერენციის (გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის—რედ.) რეზოლუციას და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი დაუცხრომლად ვიშრომოთ მისი განხორციელებისათვის. თქვენგან, ბ-ნო ელერს, ჩვენ მოვითხოვთ მოხსნათ ბუნდესტაგის ღღის წესრიგიდან კამათი ეგრეთწოდებულ გერმანიის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შესახებ. ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს ყოველგვარი მოლაპარაკება ამ ხელშეკრულებათა შესახებ და დაიწყოს მოლაპარაკება ბუნდესტაგსა და სახალხო პალატას შორის“.

ამერიკელები კურის ქვანახშირის სპეკულაციას ეწევიან

ბერლინი, 17 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო ბონიდან იუწყება, 1952 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატებიდან დასავლეთ გერმანიაში შემოიტანეს 6 მილიონი ტონა ქვანახშირი, მაშინ როცა 19 მილიონი ტონა რურის ქვანახშირი იმპორტით გაიტანეს. ამით ქვანახშირის საერთო იმპორტი ამჟამად უკვე მეტია, ვიდრე მთელ გასულ წელს, როცა შემოტანილი იყო 5,8 მილიონი ტონა.

შემოტანილი ვითომდა ამერიკული ქვანახშირი ნამდვილად, როგორც დასავლეთ გერმანიის პრესა იუწყება, მნიშვნელოვანწილად რურის ქვანახშირია, რომელიც გაიქვთ ამერიკელ მონოპოლისტებს დასავლეთ გერმანიის ნავსადგურებიდან და შემოვლითი გზით, როტერდამზე გამოტარებით, კვლავ შეაქვთ დასავლეთ გერმანიაში. ამ „ამერიკული“ რურის ქვანახშირის ფასი ერთიორად უფრო მაღალია, ვიდრე რურის ქვანახშირის საექსპორტო ფასი, რაც რურისათვის დაარწყუა უმაღლესმა ორგანომ, რომელსაც ამერიკელები ხელმძღვანელობენ.

სამხედრო თანამშრომლობის გაფართოება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ფრანკისტულ ესპანეთს შორის

რომი, 17 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „მესაჯერო“ ლონდონიდან მიღებულ კორესპონდენციაში იუწყება, რომ გენერალ კანდენბერგის მადრიდს გამგზავრების შედეგად რამდენიმე დღის წინათ ესპანეთსა და შეერთებულ შტატებს შორის ხელმოწერილ იქნა სამხედრო-ეკონომიკური ხასიათის შეთანხმება.

შეთანხმება შეერთებული შტატებისათვის, სხვათა შორის, უზრუნველყოფს მნიშვნელოვან საზღვაო ბაზებს ატლანტიკის სანაპიროზე, როგორიც არის, მაგალითად, უელვა და კადისი, და ითვალისწინებს აგრეთვე ხმელთა შუა ზღვის სანაპიროზე კარტახენაში დიდი სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზის მოწყობას.

გეგმას, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო მიზნებით მადრიდის ახლანდელი სავაჭრო აეროპორტის გაფართოებას ბარახასში, თითქოს კიდევ იხილავენ, მაგრამ პრინციპულად ფრანკო, როგორც ამბობენ, უკვე დათანხმდა.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ შეთანხმების მიზანია, როგორც ჩანს, კვლავ დაისვას განსახილველად ესპანეთისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მონაწილე ქვეყნების ურთიერთობის პრობლემა...

მადრიდისა და ვაშინგტონის შეთანხმება, ნათქვამია შემდეგ კორესპონდენციაში, იწვევს ახალ გართულებას დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობაში ხმელთაშუა ზღვის სარდლობის საჩოთირო პრობლემასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, არ შეიძლებოდა ლონდონში არ შეენიშნა, რომ ფრანკოს უარყოფად მჭიდრო ურთიერთობა აქვს ბონის რესპუბლიკასთან.

იტალიის ბურჟუაზიული პარტიების შეთანხმება

რომი, 18 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, ქრისტიან დემოკრატთა პარტიის, სოციალ-დემოკრატიული, ლიბერალური და რესპუბლიკური პარტიების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საარჩევნო კანონის „რეფორმის“ განხორციელების პროექტისა და 1953 წლის არჩევნებში სიების ბლოკის შესახებ. როგორც დემოკრატიული გაზეთები აღნიშნავენ, ეს შეთანხმება სოციალ-დემოკრატიული, ლიბერალური და რესპუბლიკური პარტიების ხელმძღვანელთა სრული კაპიტულაციაა ქრისტიან დემოკრატთა მოთხოვნების წინაშე.

მთავრობის გაზეთებში გამოქვეყნებულ შეთანხმების ტექსტში ნათქვამია, რომ ოთხი პარტიის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს: მხარი დაუჭირონ პარლამენტში მთავრობის კანონპროექტს საარჩევნო სისტემის რეფორმის შესახებ, რომლის თანახმადაც ხმათა აბსოლუტური უმეტესობის მიმღებ სიას პარლამენტში ეთმობა ადგილების 65 პროცენტი, რაც შეადგენს 380 ადგილს;

არჩევნებში გამოვიდნენ სიების ბლოკით მთელ იტალიაში;

საჭიროდ მიიჩნიონ „კანონთა საშუალებით გარკვეული დისციპლინის დამყარება პრესის, პროფკავშირული მოძრაობისა და დემოკრატიის დაცვის დარგში და ამ შეთანხმების შესრულების მიზნით ერთობლივი განხილვა პარლამენტის შესაბამის ინსტანციაში იმ კანონპროექტებისა, რომლებიც მთავრობამ შემოიტანა და რომლებიც უკვე შეტანილია პარლამენტის საქმის წარმოებაში“.

ქრისტიან დემოკრატთა და სოციალ-დემოკრატთა ხელმძღვანელებს შორის მოლაპარაკების დროს ადგილობრივი ორგანიზაციების ბევრი წარმომადგენელი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტები გავიდნენ პარტიიდან ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ სარაგატმა, რომიტამ და სიმონინიმ მიიღეს ქრისტიან დემოკრატთა მოთხოვნები.

ამერიკელი იმპერიალისტების ხრიკები ირანში

თეირანი, 18 ნოემბერი. (საკდესი). 16 ნოემბერს ამერიკის ელჩი ირანში ლოი ჰენდერსონი ვაშინგტონს გაფრინდა. გამგზავრების წინ ჰენდერსონი არაერთხელ შეხვდა ირანის პრემიერ მინისტრს მოსადიკს, საგარეო საქმეთა მინისტრს ფატემის, აგრეთვე მეჯლისის თავჯდომარეს ქაშანის. როგორც პრესა აღნიშნავს, ჰენდერსონი დაწვრილებით გააცნობს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს ირანის ნავთთან დაკავშირებულ საკითხებს იმის გამო, რომ ვაშინგტონში თითქოს ქმნიან ინგლის-ირანის კონფლიქტის გადაჭრის „ახალ ფორმულას“.

ამ უკანასკნელ დღეებში თეირანის ყველა გაზეთში გამოქვეყნებული უცხოეთის ცნობებიდან ჩანს, რომ „ახალი ფორმულის“ მიზანია ირანის ნავთის გატანის საკითხის გამოყოფა ირანსა და ინგლისს შორის საფინანსო ანგარიშსწორების შესახებ წარმოშობილი დავის საკითხისაგან და „ირანისათვის შესაძლებლობის მიცემა დაიწყოს თავისი ნავთის გაყიდვა, სანამ ეს დავა მოგვარდებოდეს“.

ოპოზიციური გაზეთი „დღი“ ამასთან დაკავშირებით აცხადებს: „ჩვენ არაფერ კარგს არ მოველით ვაშინგტონში ყველა ამ შეხვედრისა, მოლაპარაკებისა და თათბირისაგან, რადგან წელიწადნახევარში ჩვენ უკვე ვნახეთ მრავალი მოლაპარაკება, რომლებსაც საბოლოო ანგარიშით მხოლოდ ზიანი მოჰქონდა ირანისათვის“.

პროგრესული გაზეთი „ჯანგე კალიამი“, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც თეირანში გამოდის, წერს: „კვლავ აღძრავს რა ნავთის საკითხს... ამერიკა ცდილობს ხელთ იგდოს ირანის ნავთის წყაროები, გაიფართოოს თავისი ეკონომიკური საქმიანობა, მთლიანად დაიმორჩილოს ირანის პოლიტიკა და მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის წინააღმდეგ სამხედრო პლაცდარმად გადააქციოს ირანი“.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის არჩევნების შედეგები

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). საბოლოო ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატაში არჩეულია 221 რესპუბლიკელი, 213 დემოკრატი და ერთი ეგრეთწოდებული „დამოუკიდებელი“ (რიმსი ოჰაიოს შტატისაგან, რომელიც წინათ ჩვეულებრივ ხმას აძლევდა რესპუბლიკელებს).

არჩევნების შემდეგ გარდაიცვალა დემოკრატი სენეტი (ილინოისის შტატი); თავისუფალი ადგილი ჯერ კიდევ არ შევსებულა. პრეზიდენტის არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვი ჯერ კიდევ ცნობილი არ არის.

პარლამენტის არჩევნების შედეგები საბერძნეთში

ათენი, 17 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ საბერძნეთში მოხდა პარლამენტის არჩევნები. საბოლოო ცნობები ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ რამდენიმე საარჩევნო უბნის ცნობებს, რომლებიც ჯერ არ მიეღიათ, არ შეუძლია არსებითად შეცვალოს კენჭისყრისა და პარლამენტში ადგილების განაწილების უკვე გამოცხადებული წინასწარი შედეგები.

არჩევნებში დამარცხდა ლიბერალებისა და „ნაციონალ-პროგრესისტების“ ბლოკი, რომელიც ხელისუფლების სათავეში იყო წინა პარლამენტის დათხოვნამდე. ამ ბლოკმა მიიღო დაახლოებით 440 ათასი ხმა და, წარსულ არჩევნებთან (1951 წელი) შედარებით, დაკარგა 300 ათასი ხმა. ყოფილი პრემიერ-მინისტრი პლასტერასი პარლამენტში არჩეული არ არის. მისი კაბინეტის ყველა წევრიდან არჩეული აღმოჩნდა მხოლოდ ვენიზელოსი.

„საბერძნეთის შეკრებამ“, რომელსაც საბერძნეთის არმიის ყოფილი მთავარსარდალი მარშალი პაპაგოსი მეთაურობს, მიიღო დაახლოებით 627 ათასი ხმა, ესე იგი ფაქტიურად იმდენივე, რამდენიც წინა არჩევნებში. მაგრამ ანტიდემოკრატიული მაჟორიტარული სისტემის შემოღების მეოხებით „საბერძნეთის შეკრება“ იღებს პარლამენტში დეპუტატთა ადგილების აბსოლუტურ უმეტესობას—უკანასკნელი არაოფიციალური ცნობებით 300-დან 241 ადგილს.

მეფე პავლემ დაავალა პაპაგოსს ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა.

ერთიანმა დემოკრატიულმა მემარცხენე პარტიამ შეინარჩუნა თავისი ძალები, მიიღო რა, ისევე როგორც წინა არჩევნებში, დაახლოებით ყველა ხმის საერთო რიცხვის 11 პროცენტი, თუმცა ამჯერად მას თავისი კანდიდატები ყველა საარჩევნო ოლქში არ დაუსახელებია.

ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავების კატასტროფა

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ამერიკული პრესა იუწყება, უკანასკნელ დღეებში კატასტროფა განიცადა რამდენიმე სამხედრო თვითმფრინავმა, რომლებშიც იმყოფებოდა ამერიკის შეიარაღებული ძალების ბევრი მოსამსახურე.

16 ნოემბერს საღამოს ავიაციის სამინისტროს წარმომადგენელმა ანკორიჯიდან (ალასკა) გადმოსცა, რომ ალასკაზე დაიკარგა სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომელშიც 20 კაცი იმყოფებოდა. როგორც ფიქრობენ, თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. კორეის რაიონში სამხედრო-საჰაერო ძალების ორი სატრანსპორტო თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად სამხედრო საჰაერო ძალთა 25 მოსამსახურე მოკვდა ან უკვალოდ დაიკარგა. 15 ნოემბერს საღამოს სამხედრო ავიაციის თვითმფრინავი, რომელშიც 18 კაცი იმყოფებოდა, ოკეანეში ჩავარდა კორეის აღმოსავლეთ სანაპიროსთან; დღემდე ვერ უპოვნიათ 11 კაცი და, როგორც ფიქრობენ, ისინი დაიღუბნენ. 14 ნოემბერს, საღამოს, როცა სატრანსპორტო თვითმფრინავი მთას დაეჯახა 20 კილომეტრზე სეულის აღმოსავლეთით, 44 კაცი დაიღუპა.

მღელვარება თურქეთის გლეხებს შორის

სოფია, 16 ნოემბერი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოსცემს თურქული გაზეთის „ენი ისტამბულის“ ცნობას იმის შესახებ, რომ ანდარმებსა და სოფლების ბახჩეჯიკისა და დოლაშის (ქალაქ სივრიხისარის რაიონში) გლეხებს შორის მოხდა სერიოზული შეტაკება. სოფლის მცხოვრებლებმა ხელთ იგდეს მემამული ბახიეფინ კოზალარმაკის მიწების ნაწილი და მოხნეს იგი. „როცა,—წერს გაზეთი,—ჟანდარმები მივიდნენ ადგილზე, სოფელ ბახჩეჯიკის 200 გლეხი თავს დაესხა ჟანდარმებს და განაიარაღა ისინი“.

მოითხოვენ ეგვიპტიდან უცხოეთის ჯარების გაყვანას

კაირო, 17 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ჟურნალი „როზა-ელ-იუსეფი“ იუწყება, ნაციონალისტთა ახალი პარტიის ლიდერმა ეგვიპტის ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრმა ფათხი რადვანმა პარტიის წევრთა კრებაზე განაცხადა, რომ პარტია იცავს ეგვიპტიდან უცხოეთის ჯარების სრული და დაუყოვნებლივი ევაკუაციისა და ეგვიპტის მიერ სრული ნეიტრალიტეტის დაცვის პრინციპს.

საქართველოს ახალი ბაზრობა

17 ნოემბერს თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე დაიწყო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის 400-მდე მძლეოსანის შეჯიბრება ამავე ინსტიტუტის პირველობისათვის. პროგრამაშია: რბენა სხვადასხვა მანძილზე, გამორბენით სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ბირთვის კვრა, ბადროს ტყორცნა და მძლეოსნური სპორტის სხვა სახეობები.

შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწია ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენმა ნ. დევდარიანმა, რომელმაც ურო ტყორცნა 47 მეტრსა და 50 სანტიმეტრზე და დამყარა საქართველოს ახალი რეკორდი.

დღეს, 19 ნოემბერს, თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსანთა დასკვნითი ასპარეზობა.

შეშა. ქვანახშირი. ნავთი მოსახლეობისათვის

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სათბობის მომარაგების განყოფილებამ შარშანდელთან შედარებით დიდქალაქში მეტი რაოდენობით შეშოდა სათბობი. მოსახლეობისათვის გათვალისწინებული ფონდიდან უკვე შემოზიდულია 32.000 კუბმეტრი შეშა, 15.660 ტონა ნახთი და 2.000 ტონა პიროელი ხარისხის ქვანახშირი.

ქალაქის თითქმის ყველა რაიონში გახსნილია შეშის საწყობი. სამ საწყობში (დიღომზე, ნავთლუღი, ღრმაღელე) მოსახლეობის უკვეთ მომსახურებისათვის დადგმულია სახერხი დაზგები. მომხმარებელს შეუძლია ადგილზე დაახერხინოს შეშა, ასეთი სახერხი დაზგა უახლოეს კვირაში ამუშავდება ვაკის საწყობშიც.

მოგვარებული არ არის შეშის გადასაზიდი ტრანსპორტის საქმე. სათბობის მომარაგების განყოფილების განკარგულებაშია მხოლოდ 2 მანქანა. აქედან ერთი დაზიანების გამო ხშირად არ მუშაობს.

სანიმაგარული კულტურის თეატრში

ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა თბილისის სანიტარული კულტურის თეატრი. აქ კვირაში ორჯერ იკითხება ლექციები აკადემიკოს ი. პ. პაველვის მოძღვრებაზე, სხვადასხვა სახის დაავადებებსა და მათთან ბრძოლის თანამედროვე ამოცანებზე. ლექციის შემდეგ იმართება სპექტაკლი, რომლის სიუჟეტი არსებითად შეესაბამება ლექციის შინაარსს.

„თერაპიული ცნობარი“

საქართველოს სამედიცინო გამომცემლობა უშვებს „თერაპიული ცნობარის“ მეხუთე შესწორებული და შევსებული გამოცემის თარგმანს ქართულ ენაზე.

ცნობარი გამოდის ოთხ ნაწილად და შეიცავს თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგს. მასში მოყვანილია ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, რენტგენოლოგიის, ელექტროკარდიოგრაფიის, ბიოქიმიის, ბაქტერიოლოგიის და სეროლოგიის უახლესი მონაცემები.

ქართული გამოცემის რედაქტორები არიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ა. რუხაძე და დოცენტი გ. მხეიძე.

უკვე გამოსულია „თერაპიული ცნობარის“ პირველი და მეორე ნაწილი, იბეჭდება და მიდინარე წლის ბოლომდე გამოვა მესამე და მეოთხე ნაწილი. ოთხივე ნაწილი შეიცავს 2.100 ნაბეჭდ გვერდს; ტირაჟი 8.000 ცალი. ფასი 45 მანეთი.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 21 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე (აუდიტორია № 93) შედგება ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზეც განხილულ იქნება პროფესორ ა. ბარამიძის, პროფესორ შ. რადიანის და ბ. ყღენტის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო **„История грузинской литературы“.**

დასწრება თავისუფალია.

რედაქტორის მოადგილე

ი. ნატროშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ქიმიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წ. 29 ნოემბერს, დღის 3 საათზე, № 26 აუდიტორიაში (მეორე კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. № 3) ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **დარეჯან ნიკოლოზის ასული კილაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე **„კობალტნიტრიტის მეთოდით კალიუმის განსაზღვრის საკითხებისათვის“.** ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი დოქტორი **ვ. კოკორაშვილი,** პროფესორი **მ. ზეკაია,** მეცნიერების კანდიდატი დოცენტი **კ. გამსახურდია.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველო აცხადებს რომ, თანახმად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებისა № 1669, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველო 1952 წლის 15 ნოემბრიდან აწარმოებს ავტომანქანების, მოტოციკლების, ტრამვაისა და ტროლეიბუსების მძღოლთა მოწმობების გამოცვლას, რომლებიც გაცემულია 1950 წლის 1 აგვისტომდე. მოწმობების გამოცვლა ქალაქ თბილისში დამთავრდება 1953 წლის 1 აპრილს, ხოლო თბილისის ოლქში—1953 წლის 1 აგვისტოს.

ქალაქ თბილისის იმ ავტომეურნეობებში, რომლებსაც ტრანსპორტის 10 და მეტი ერთეული აქვთ, მძღოლთა მოწმობების გამოცვლა იწარმოებს გარაჟებში სამუშაო ადგილზე, ხოლო ქალაქ თბილისის დანარჩენი ავტომეურნეობების მძღოლთა და მოყვარულ შოფერთა მოწმობების გამოცვლა—საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციაში (სამოქალაქო ქუჩა № 1), 10 საათიდან 17 საათამდე და 21-დან 24 საათამდე, გარდა ოთხშაბათისა და კვირისა.

თბილისის ოლქში მოწმობების გამოცვლის ვადის შესახებ მძღოლებს ეცნობებათ მილიციის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით.

მოწმობების გამოსაცვლელად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: განცხადება-ანკეტა (ფორმა № 1), მძღოლის ძველი მოწმობა და მისი ტალონი, პასპორტი ან მისი შემცვლელი რაიმე საბუთი (მირადობის მოწმობა, სამხედრო ბილეთი, სოფლსაბჭოს ცნობა იმ რაიონებში, სადაც პასპორტიზაცია არ არის ჩატარებული), ორი ფოტოსურათი (ზომა 3×4 სმ.)

მძღოლები, რომლებიც არაერთხელ ყოფილან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულნი მოძრაობის უსაშიშრობის წესების ან ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევისთვის, ექსპერტების წესით ჩააბარებენ გამოცდას მოწმობების გამოცვლის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად.

მძღოლები, რომლებიც რა მიზეზითაც უნდა იყოს არ გამოცვლიან მოწმობებს დადგენილ ვადაში, კარგავენ სათანადო სახის ტრანსპორტის მართვის უფლებას. მოწმობების გამოცვლა წარმოებს ფულადი გამოსაღების გადაუხდევინებლად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსი, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი ჟღენტი

საქართველოს რადიოგადაცემათა 20 ნოემბრის პროგრამა

რადიოსადგურით 1.571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.25 — სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომპოზიტორთა სიმღერები; 07.40 — „პიონერთა დაფიონი“; 09.20 — რიმსკი-კორსაკოვის სიმფონიური ნაწარმოებები; 11.00 — ქართული ხალხური სიმღერები; 11.25 — საუბარი—„საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა დედაზე და ბავშვზე“; 11.40 — კამერული მუსიკის კონცერტი; 12.15 — კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით; 12.45 — ლისტის საფორტეპიანო ნაწარმოებები. **რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით.** 17.15 — ნაწყვეტები რუსული ოპერებიდან; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის — საუბარი: „ატომი და ატომური ენერგია“; 18.15—პოპულარული მუსიკის კონცერტი; 19.20 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.45 — საუბარი „ვიეტნამში საომარი მოქმედების მდგომარეობის შესახებ“.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 20.30—ლიტერატურული გადაცემა: „საბჭოთა ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა“; 20.50 —ოპერის ტრანსლაცია მოსკოვიდან.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

19 ნოემბერს	ვ. დოლიძე— **ძმათა და კოტე**
20 ნოემბერს	გ. კილაძე—**სინათლე** ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ქეთო და კოტე; **რუსთაველის სახელობის** — ნიკოლოზ ბარათაშვილი; **მარჯანიშვილის სახელობის** — გაზაფხულის ღილა; **გრიბოედოვის სახელობის**—პატმინისტური ტრაგედია (აბონემენტი 39, 40); **მუსიკალური კომედიის** — ცანის დედოფალი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — უკანასკნელი ორიანი (აბონემენტი 14, 5 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მისი მეგობრები.

მოქალაქე ელენე **კონსტანტინეს ასულმა ზანსმა,** მცხოვრებმა ჯანაშიას ქ. № 4. აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნიკოლოზ ალექსის-ძე რეზვიაკოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ თბილისის ოლქის ხასამართლოს სამოქალაქო სასამართლო კოლეგია.

შვილები რევაზ, ელენე, სალომე, მარიამ, რძლები თამარ, ნინო ორჯონიკიძეები ოჯახებით, სიძე ნ. გუდაძე შვილებით იუწყებიან **ეკატერინე მაჰავარიანი-ორჯონიკიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-XI, 8 ს. გამოსვენება 20-XI, 4 ს. ილია ჭავჭავაძის ქ. № 24.

მეუღლე ანასტასია, შვილები შალვა, ვლადიმერ, თამარ, რძლები ეფროსინე ფაჩულია, ნინო თარგამაძე, შვილიშვილები ნუნუ, ცისანა, გურამ, ლამარა იუწყებიან **ნიკოლოზ ტარიელის-ძე გაბუნიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-XI ქ. ბათუმში, გამოსვენება ბინიდან, ჯორჯიაშვილის ქ. № 25.

შვილები არტემ, ნინო, გიორგი, რძალი ცუცა, შვილიშვილები გალინა, მედეა, ამირან იუწყებიან **სუსანა გრიგოლის ასულ ჯავახოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-XI, 8 ს. გამოსვენება 20-XI, 4 ს. ჩუღურეთის შესახვევი № 4.

მეუღლე ეფროსინე, შვილები ქსენია, მარგო, ალიოშა, შვილიშვილი ოთარ, და ნატაშა, სიძე დ. კვირკველია შვილებით, დავით, ვერა, ბელა რუხაძეები, ვლადიმერ მიქავა ოჯახით იუწყებიან **ავქსენტი ალექსის-ძე მიმინოშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-XI ქ. ფოთში, გამოსვენება ბინიდან, აკაკის ქ. № 77.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის კოლექტივი იუწყება **კლიმენტი სიმონის-ძე ჯიუღელის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. სვირში 20-XI.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივანი—3-08-67, სამდივნოსი—3-06--88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების—3-81-84, პროპაგანდის—3-57-61, მრეწველობის—3-81-84, სოფლის მეურნეობის—3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის--3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის—3-80-84, მ